საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 71 (1087)
სამშაბათი, 27 ივნისი, 1995 წელი.
ფასი 200 000 კუპონი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების, პენსიებისა და დახმარებების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებების შესახებ

მოსახლეობის სოციალური დაცვის შემდგომი სრულყოფის, სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში მკაცრი პოლიტიკის გაგრძელებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. პირველ თანრიგზე მომუშავე მუშაკის თანამდებობრივი განაკვეთი განისაზღვროს თვეში 3,5 მილიონი კუპონის ოდენობით. ამასთან, გაუქმდეს 1994 წლის სექტემბრიდან შემოღებული სოციალური დანამატები 1,5 მილიონი კუპონის ოდენობით.

2. დამტკიცდეს ქვემოთ ჩამოთვლილ თანრიგებზე მომუშავე მუშაკებისთვის თანამდებობრივი განაკვეთები კუპონებში შემდეგი ოდენობით:

პირველი თანრიგისათვის		— 3500000
მეორე	„—“	— 3700000
მესამე	„—“	— 3900000
მეოთხე	„—“	— 4100000
მეხუთე	„—“	— 4300000
მეექვსე	„—“	— 4500000
მეშვიდე	„—“	— 4700000
მერვე	„—“	— 4900000
მეცხრე	„—“	— 5100000
მეათე	„—“	— 5300000
მეთერთმეტე	„—“	— 5500000
მეთორმეტე	„—“	— 5700000
მეცამეტე	„—“	— 6000000
მეთოთხმეტე	„—“	— 6300000
მეთხუთმეტე	„—“	— 6700000
მეთექვსმეტე	„—“	— 9000000
მეჩვიდმეტე	„—“	— 9500000
მეთვრამეტე	„—“	— 13200000
მეცხრამეტე	„—“	— 13800000
მეოცე	„—“	— 14400000
ოცდამეერთე	„—“	— 15000000
ოცდამეორე	„—“	— 16500000

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ერთი კვირის ვადაში დაამუშაოს თანამდებობათა ნუსხა თანრიგების მიხედვით.

4. თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა ხელფასები გადიდდეს 10 პროცენტით.

5. ყოველგვარი დანამატი ხელფასზე გადიდდეს ხელფასის ზრდის პროპორციულად.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ხელფასების, პენსიების, შემწეობების, დახმარებებისა და ყოველგვარი დანამატების გაანგარიშების მეთოდოლოგია, რომელიც დაკავშირებული იყო მინიმალურ ხელფასთან.

მინიმალური ხელფასის ცნება, რომელიც დღეისათვის 1,5 მილიონ კუპონს შეადგენს, ძალაში რჩება ბიუჯეტში გადასახადების, გადასახდელების, მოსაკრებლებისა და საწარმოო სანქციების ოდენობის განსაზღვრისას.

7. არამომუშავე პენსიონერთა პენსიის ოდენობა თვეში განისაზღვროს 3,7 მილიონი კუპონით, გარდა პენსიონერთა იმ კატეგორიისა, რომელთა პენსიის ოდენობა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 3 აპრილის 102 ბრძანებულებითაა განსაზღვრული.

8. 16 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახებს სოციალური დახმარება მიეცეთ მხოლოდ მეორე ბავშვზე. ფულადი დახმარების ოდენობა თვეში განისაზღვროს ქალაქში მცხოვრები ბავშვებისათვის — 1,6 მილიონი კუპონი, ხოლო რაიონებში მცხოვრები ბავშვებისათვის — ერთი მილიონი კუპონი.

9. მარტოხელა დედის ფულადი დახმარება თითოეულ ბავშვზე თვეში განისაზღვროს 1,5 მილიონი კუპონით.

10. ლტოლვილთა და ხიზანთა დახმარება თვეში განისაზღვროს 3,5 მილიონი კუპონით, ამასთან, გაუქმდეს ფულადი დახმარების ანგარიშზე პურის უფასო მომარაგება.

11. უმუშევრობის სტატუსის მქონე პირებზე სტატუსის მინიჭებიდან ექვსი თვის განმავლობაში გაიცეს დახმარება დასაქმების ფონდიდან პირველი ორი თვის განმავლობაში — 3,5 მილიონი კუპონი; მესამე-მეოთხე თვეში — 2,6 მილიონი კუპონი, ხოლო ბოლო ორ თვეში — 1,8 მილიონი კუპონი. უმუშევრობის სტატუსის მინიჭების შემდეგ ძველ სამუშაო ადგილზე დახმარებები არ გაიცემა.

12. სამედიცინო დახმარების ფასიან მომსახურებაზე გადასვლის გამო გამოყვანილ იქნეს სახელმწიფო სექტორიდან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში დასაქმებული 120 ათასი მუშაკი. ეს პროცესი დაიწყოს 1995 წლის ივლისიდან, ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობიდან 1995 წლის 1 ივლისიდან გამოყვანილ იქნეს 60 ათასი ექიმი, სამედიცინო და სხვა პერსონალი, ხოლო 1 აგვისტოდან დანარჩენი 60 ათასი და ეს პროცესი დასრულდეს 1995 წლის 31 აგვისტომდე.

13. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით შექმნილია ახალი, არასაბიუჯეტო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდი, სადაც დამქირავებელი ხელფასის ფონდიდან გადარიცხავს სამ პროცენტს, ხოლო მუშაკები შრომის ანაზღაურებიდან — ერთ პროცენტს.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდი უფლებამოსილია დამატებით მიიზიდოს სხვა შემოსავლები, როგორიცაა სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციიდან, ლიცენზიებიდან და ატესტაციების ჩატარებიდან მიღებული შემოსავლები. ამასთან, საბიუჯეტო დისციპლინის მხარდაჭერის მიზნით, ფონდს არ გამოეყოფა მიზნობრივი საგადასახადო შემოსავლები, გარდა ზემოთ დასახელებული ხელფასიდან გადასახადისა. ფონდს არა აქვს უფლება მიიზიდოს კრედიტები. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, სამედიცინო კვლევა და კადრების მომზადება, აგრეთვე მმართველობის ცენტრალური და რეგიონული აპარატის შენახვა განხორციელდება ამ მიზნისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში.

14. ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა შეღავათებისა და საავადმყოფო ფურცლის გაანგარიშება განხორციელდეს ახალი თანამდებობრივი განაკვეთებიდან.

15. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმი თვეში ძირითად სამუშაო ადგილზე განისაზღვროს 3,5 მილიონი კუპონით.

16. ბიუჯეტის სახსრების დეფიციტის გამო სახელშეკრულებო ხარჯების გადასინჯვისა და სახსრების ხარჯვის ასიგნებების მოწესრიგების მიზნით მეცნიერება, კადრების მომზადება, სოფლის მეურნეობა, გეოლოგიური საბიუჯეტო და ეროვნული მეურნეობის სხვა დარგები 1995 წლის 1 სექტემბრიდან გადაყვანილ იქნეს პროგრამულ დაფინანსებაზე ამ დანიშნულებით ბიუჯეტიდან გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში.

17. დაევალოს საქართველოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განახორციელოს ზედამხედველობა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის და დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდებზე, რათა მათი შემოსავლების, ხარჯებისა და მიმღებთა (პენსიონერის, უმუშევრის, ბავშვთა და სხვ.), რაოდენობის შესახებ ყოველთვიური ანგარიშები წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს.

18. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 24 დეკემბრის 874 დადგენილების 1-9 პუნქტები; 1994 წლის 5 სექტემბრის 634 დადგენილების მე-10 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

19. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს 1995 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია.

ძვირფასო მკითხველო!

მიუხედავად ეკონომიკური შეჭირვებისა, ათასობით ოჯახმა მაინც გამოიწერა ჩვენი გაზეთი. გულითადი მადლობა ყველას, მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

ვინც ვერ მოასწრო ხელმოწერის გაფორმება, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ შეგიძლიათ ერთი ან ორი თვითაც გამოიწეროთ და გაზეთი აგვისტო-სექტემბერში მაინც მიიღოთ. ვინც გაზეთს წლის ბოლომდე გამოიწერს, მიმოქცევაში ლარის შემოღების შემდეგაც, გადახდილი თანხა არ დაეკარგებათ და ფულის კურსის მიხედვით გაზეთის ნომრების მოწოდება გაგიგრძელდებათ.

გახსოვდეთ, „საქართველოს რესპუბლიკა“ ყველაზე იაფი გაზეთია. ის მხოლოდ სწორ, ჯანსაღ, თქვენთვის ასე აუცილებელ ინფორმაციას მოგაწვდით!.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“!

ნაკლოვანებათა მხილებისა და აღმოფხვრის გზით

საკოორდინაციო-საგანგებო კომისიაში

24 ივნისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საკოორდინაციო-საგანგებო კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა მთელი რიგი პრობლემური საკითხები, მათ შორის, ინფორმაციები რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და უშიშროების სამსახურის მიერ სააქციო საზოგადოება „აზოტის“ საფინანსო სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო სავიზო ბიუროს და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების შემოწმების შედეგების შესახებ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 1995 წლის საგაზაფხულო გაწვევის თაობაზე, ზოგიერთი სხვა საკითხი.

კონტროლის პალატის თავმჯდომარემ რევაზ შავიშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტურმა რევიზიამ სააქციო საზოგადოება „აზოტში“ სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებები გამოავლინა. კერძოდ, „აზოტის“ საპრივატიზაციო კომისიის მიერ გაერთიანების ქონება შეფასებული იყო სრული ინვენტარიზაციის გარეშე, ქონების შეფასების აქტში არასწორად იყო შეტანილი საწარმოო მარაგების ღირებულება, ხოლო გაერთიანების ტერიტორიაზე არსებული ათეულ ათასობით ტონა ლითონის ჯართი საერთოდ აღურიცხავია. სახელმწიფო ქონების შეფასებისას დაშვებული უხეში დარღვევებით სახელმწიფოსთვის მიყენებულია

(დასასრული მე-2 გვ.)

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

თბილისის საბაჟოს მიერ შემოტანილი ტვირთების გაფორმების პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ბოლო ხანს მასობრივი ხასიათი მიიღო ფიზიკურ პირთა მიერ დიდი ოდენობის ტვირთების შემოტანამ და მასზე გადასახადებიდან თავის არიდებამ, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი თანხების მოცულობა.

ამასთან, დაკავშირებით, თბილისის საბაჟო მიზანშეწონილად მიიჩნია ფიზიკური პირების, სახელმწიფო საწარმოების, კერძო ფირმების საყურადღებოდ განაცხადოს, რომ რესპუბლიკის პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ფიზიკური პირის მიერ საბაჟო საზღვრებზე შემოტანილი საქონელი ექვემდებარება საბაჟო გაფორმებას და მათზე ვრცელდება ყველა ის გადასახადი, რაც გათვალისწინებულია იურიდიულ პირებზე, გარდა იმ ბარგისა, რომელიც წარმოადგენს პირად ქონებას და კომერციული მიზნებისთვის არ არის განკუთვნილი. ამიტომ დღეს, მოქმედი კანონებისა და დადგენილებების მიხედვით, ფიზიკური პირების მიერ რესპუბლიკაში შემოტანილი საქონელი საბაჟოს მიერ დაიბეგრება ბიუჯეტის კუთვნილი ყველა შესაბამისი გადასახადით.

შესაძლო გაუგებრობების თავიდან აცილებისა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით, მომავალ ნომერში გამოვაქვეყნებთ რესპუბლიკაში შემოტანილი საქონლის საბაჟო გადასახადით, დამატებითი ღირებულების გადასახადით, აქციზითა და მოსაკრებლებით დაბეგვრის განაკვეთებს 1995 წლის 25 ივნისის მდგომარეობით. ყველა შესაძლო ცვლილებების შესახებ დამატებით გაცნობებთ.

თბილისის საბაჟოს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი.

„მთელი საქართველო უნდა დაირაზმოს სამართლიანი, ობიექტური არჩევნებისათვის“

ჟურნალისტ ნატო ონიანის პირველი კითხვა სახელმწიფოს მეთაურისადმი გასულ კვირას თბილისში მომხდარ ტერორისტულ აქტს შეეხო და ეს გასაგებიცაა — ბატონ სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობამ სულით ხორცამდე შეძრა მთელი საზოგადოება.

— ტრადიციულად, რადიოინტერვიუს ეკონომიკური მიმოხილვით ვიწყებთ, მაგრამ, რა ეკონომიკაზე შეიძლება ლაპარაკი, თუკი ქვეყანაში სტაბილურობა არ დამყარდა და წესრიგი არ აღდგა. ამაზე თქვენ არაერთხელ გილაპარაკიათ. ყველაზე დასანანი კი ის არის, რომ, როცა სახელმწიფოს მეთაური ისრაელში ვიზიტის დროს ყველას უმტკიცებს, ქვეყანაში წესრიგი აღდგა და ინვესტიციების დაბანდება შეიძლებაო, ამ დროს საკუთარი მოქალაქეები მორიგ ტერორისტულ აქტს სჩადიან. სოლიკო ხაბეიშვილი ჯერ სიცოცხლეში აწამეს, მერე წამებით მოკლეს. ამ საზარელი მკვლელობის მიუხედავად, როგორც თქვენდამი მოწერილ ბარათში გწერთ, ფედერიკო მაიორი, ფორუმი მაინც გაიმართება, ფორუმი, რომელიც შეუწყნარებლობის წინააღმდეგ არის მიმართული და რომლის ორგანიზატორიც გახლდათ ბატონი სოლიკო — სწორედ შეუწყნარებლობის მსხვერპლი...

— სოლიკო ხაბეიშვილის სიკვდილი დიდი დანაკლისია ქვეყნისათვის, პირადად ჩემთვის, გამოსათხოვარ სიტყვაში ვთქვი, რომ მკვლელებმა იცოდნენ, ვისაც ესროლეს. ეს ხომ პირველი არ არის. ტერორისტი მუხანათია, თავისი ბუნებით მშიშარაა. მშიშარა კაცი კი სასტიკი და დაუნდობელია. ისტორიაში ამის მაგალითები ბევრია. მოვლენებს, რომლებიც საქართველოში ხდება ტერორიზმთან და დივერსიებთან დაკავშირებით, არ შევეცდები გამართლება მოვუძებნო თუნდაც იმით, რომ ასეთივე აქტები სხვა ქვეყნებშიც ხდება. გახსოვთ, როგორ შეიძრა ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და უზრუნველყოფილი ქვეყანა — იაპონია, როგორ შეზანზარდა ამერიკის შეერთებული შტატები იმ დიდ ტრაგედიებთან დაკავშირებით, რომელთაც ათობით და ასობით ადამიანი შეეწირა, აღარაფერს ვამბობ ბუდიონოვსკსა და სხვა ფაქტებზე. სამწუხაროდ, მსოფლიო მოცულია სასტიკი მოვლენებით. მაგრამ ეს არავითარ შეღავათს არ გვაძლევს და მას არავითარი გამართლება არა აქვს.

რაც შეეხება ფორუმს — „კულტურათა დიალოგი სოლიდარობისათვის, აგრესიულობისა და შეურიგებლობის დასაძლევად“ — იგი მაინც გაიმართება, ასეთია ჩემი დიდი მეგობრის ფედერიკო მაიორის ნება და იმ ადამიანთა სურვილიც, რომლებმაც თბილისის ფორუმში მონაწილეობის თანხმობა განაცხადეს. გავიმეორებ გუშინდელ ჩემ ნათქვამს: იქნებ თბილისში დამკვიდრდეს კულტურათა დიალოგის ტრადიცია, იქნებ თბილისში მივიღოთ სიძულვილის, ბოროტებისა და ძალადობის წინააღმდეგ კულტურათა კოდექსის მსგავსი რამ, იქნებ მომავალში სწორედ თბილისში აღიმართოს ძეგლი შემწყნარებლობის, ტოლერანტობის, ადამიანთა შორის თანამშრომლობისა და პატივისცემის დასამკვიდრებლად. მადლობელი ვარ ქალაქის მერის ბატონ ნიკო ლეკიშვილისა, რომელმაც უარი არ მითხრა თხოვნაზე და იკისრა ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობა. იგი ხომ ამ ბოლო დროს მრავალი წამოწყებისა და ინიციატივის ავტორია. იმედი მაქვს, ფორუმის იდეა გაიმარჯვებს და ეს იქნება სოლიკო ხაბეიშვილის ხსოვნის, პატივისცემის ყველაზე უკეთესი გამოხატულება.

— გასულ კვირას გაიმართა საქართველოს დელეგაციის ვიზიტი ისრაელის სახელმწიფოში. გაფორმდა ხელშეკრულებები, ხელი მოეწერა მემორანდუმს. ამ ვიზიტს თქვენ ისტორიული უწოდეთ და აღნიშნეთ — ეგებ კონფლიქტების გასაღები ამ ქვეყანაში დევსო. მოინახულეთ წმინდა მიწა — ჯვრის მონასტერი, შეხვდით პოლიტიკურ მოღვაწეებს და ჩვენს თანამემამულეებს, რამდენად შედეგიანი იყო ვიზიტი ჩვენთვის?



ედუარდ შევარდნაძის 26 ივნისის რადიოინტერვიუ

— ამ ვიზიტზე უკვე ბევრი საუბარი იყო, მაგრამ რამდენიმე სიტყვით მაინც გამოვკვეთ ძირითად დებულებებს. ისრაელში ვიზიტი მართლაც გამორჩეული გახლდათ. ამ ქვეყნის ხელმძღვანელობასთან საუბრები გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიღრმით, ცხოვრებისეული სიბრძნით და პერსპექტივის ხედვით. მე იქ დიალოგი მქონდა ძალიან ჭკვიან და ბრძენ ხალხთან. ეს ეხება მმართველებსაც და ოპოზიციის წარმომადგენლებსაც. ბედნიერი ვარ, რომ ვემთხვიე წმინდა მიწას. დიდ წინაპართა სასუფეველს. მოვა დრო, როცა ყველა ქართველს ექნება საშუალება, მოიხადოს ვალი გარდასულ დროთა წინაშე. განსაკუთრებული სიხარული მოგვანიჭა ქართველ ებრაელობასთან შეხვედრამ. არ ვიცი, რა დავარქვა ამას, — ერთმანეთს მონატრებული ნათესავების, მეგობრებისა და თანამოძმეთა შეხვედრა, თუ სხვა რამ. ასე მხოლოდ დიდი ხნით დაცილებული ოჯახის წევრები ხვდებიან ერთმანეთს. ალბათ, ტელეკამერამ ყველაფერი ვერ გადაიღო... მე, რომ იტყვიან, განცდებისაგან სული მეხუთებოდა. შევეცადე, გადამეცა მათთვის აქაური ებრაელობის, საქართველოს ყველა მოქალაქის დანაბარები.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ხელმოწერილი დოკუმენტები მართლაც გრანდიოზულ შესაძლებლობებს ქმნის. ქართველ ებრაელობას სურს და შეუძლია შეასრულოს ხიდის როლი საქართველოსა და ისრაელს, საერთოდ, საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. მათ უდიდესი კავშირურთიერთობა აქვთ, მათ შორის, არაბულ და ისლამურ სახელმწიფოებთან, ევროპასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ასეთი გეგმები დაისახა. ბევრი რამ არის საყურადღებო ისრაელის ხელმძღვანელობის დიალოგში არაბთა სამყაროსთან, პალესტინელებთან, იორდანელებთან, სირიასთან, ლიბანთან და, რა თქმა უნდა, ეგვიპტესთან — ამ უდიდეს ქვეყანასთან, სხვა სახელმწიფოებთან. ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით ლიდერთა შორის, მე ბევრი ძველი მეგობარი და ნაცნობი მყავს. მივესალმები დაწყებულ სამშვიდობო პროცესებს და, როგორც იქ ვთქვი, მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში ჩვენს პლანეტაზე სტაბილურობის გასაღებად შეიძლება იქცეს. სასიხარულოა, რომ ამ ურთულესი საკითხების მოგვარებაში აქტიურად მონაწილეობს მრავალი ქვეყანა, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის დიპლომატიის კონსტრუქციულ თანამშრომლობას, რადგანაც წარსულის კონფრონტაციამ უმძიმესი შედეგები მოუტანა ამ რეგიონს.

ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობებს და ჩვენი უწყებები, ბიზნესმენები, რეგიონები, მათი ხელმძღვანელები რამდენად სერიოზულად იზრუნებენ ისრაელში გაფორმებულ ხელშეკრულებათა რეალიზაციისათვის.

— გასული ორი კვირა არჩევნების თვალსაზრისითაც ძალიან საინტერესო და სიმპტომური იყო. აქტიურად მიმდინარეობდა საკონსტიტუციო კომისიის სხდომები. გუშინ მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის ფორუმი გაიმართა, რომელზეც თქვენ შეეხეთ ბოლშევიკური ფუნდამენტალიზმის საფრთხეს (ამის შესახებ ისრაელშიც ილაპარაკეთ) და აღნიშნეთ, არჩევნებში იარაღიანმა კაცმა არ უნდა გაიმარჯვოსო. ან კიდევ: რა გარანტია გვაქვს, რომ ისეთ გაჭირვებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ფულიანი ხალხი არ იყიდის ხმებს, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა....

— საკონსტიტუციო პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შედის. ერთხელ უკვე განვაცხადე, რომ თუკი ყველა კონსტრუქციული ძალა კონსტრუქციულად ითანამშრომლებს, და ამის პირველი სიმპტომები უკვე გამოჩნდა საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე, კონსტიტუციას მივიღებთ, მივიღებთ საარჩევნო კანონსაც და არჩევნებსაც გავმართავთ (მხედველობაში მაქვს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები) და კიდევ ბევრ რამეს მოვასწრებთ.

(დასასრული მე-2 გვ.).

მერვე სვეტი

ტელევიზია და რადიო წელში რომ გაიმართოს

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ თათბირზე, რომელიც ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციისათვის დაფინანსების წყაროების გამოძებნას მიეძღვნა, აღინიშნა, რომ საქართველოში მიმდინარე კარდინალური ცვლილებები, საზოგადოების მართვისა და ეკონომიკის რეფორმები, საკონსტიტუციო პროცესი, და მოსალოდნელი არჩევნები აუცილებელს ხდის, რომ მოსახლეობამ სრული ინფორმაცია მიიღოს მიმდინარე პროცესების თაობაზე. ფინანსთა სამინისტრომ გამოყო თანხები ტელევიზიის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ეს თანხები მთლიანად მოხმარდება ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებას.

შეუდგებიან პრაქტიკულ საქმიანობას

პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმა „სიმენსის“ დელეგაცია, აღმასრულებელი დირექტორის ვ. ფუნდორფის ხელმძღვანელობით.

აღინიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში განიხილეს საქართველოში სამედიცინო ტექნიკის წარმოების საკითხი. სტუმრებმა გამოთქვეს მზადყოფნა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე შეუდგნენ პრაქტიკულ საქმიანობას.

სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი ქვეყნის ტრადიციული ურთიერთობის მნიშვნელობა ფირმა „სიმენსთან“ და ყოველმხრივი მხარდაჭერა აღუთქვა სტუმრებს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო,— საქინფორმი.

გაცვლიან ექსპერტებს

26 ივნისს, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადისლავ იოვანოვიჩი.

საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამკვიდრების საკითხებს.

უახლოეს დროში მხარეები ეკონომიკის შესწავლის მიზნით, გაცვლიან ექსპერტებს.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური, — საქინფორმი.

მტკიცე მხარდაჭერა

26 ივნისს, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, მისი აღმატებულება ვლადისლავ იოვანოვიჩი და მისი თანმხლები პირები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებიან.

სტუმარმა დაადასტურა თავისი ქვეყნის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

შეხვედრის დასასრულ, მხარეებმა ხელი მოაწერეს ოქმს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

კანადამ გადაწყვიტა დაეხმაროს საქართველოს

კანადის მთავრობამ გადაწყვიტა, დაეხმაროს სურსათით საქართველოსა და სომხეთს. ეს ოტავაში გამოაცხადა კანადის საერთაშორისო განვითარების სამთავრობო სამმართველომ, ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, გათვალისწინებულია ივლისში ამ ორ რესპუბლიკაში გამოეგზავნონ 1.100 ტონა პურის ფქვილი და 220 ტონა პარკოსნები. სასურსათო დახმარების საერთო თანხა მილიონ დოლარს შეადგენს. სურსათის გამოგზავნა და მისი განაწილება დანიშნულებისამებრ განხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო სასურსათო პროგრამის არხებით.

მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის მეორე ფორუმი

მოთხოვნები ძალისმიერი სტრუქტურებისადმი:

ლოგიკურიც და... მოულოდნელიც

25 ივნისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულმა, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის მეორე ფორუმმა თავისი პოზიცია ქვეყნის დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით ასე დააფიქსირა: შექმნილი რეალური პოლიტიკური ვითარება დღის წესრიგში აყენებს პოლიტიკური აზროვნების, ზოგადად, პოლიტიკური გარდატეხის აუცილებლობას და პოლიტიკურ ძალთა ახალი წესრიგით განლაგებას, ვინაიდან ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მრავალპარტიული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მმართველობის სრულყოფილი საპარლამენტო ფორმის [illegible]; ამ ურთულეს ეტაპზე ფორუმის უპირველესი ამოცანა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გამოკვეთილი პოზიციის დაკავებაა, როგორებიცაა ქვეყნის პრეზიდენტის, პარლამენტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა.

ფორუმის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი სრულად აისახა მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის გია ჟორჟოლიანის მოხსენებაში. დღევანდელი რეალობიდან, მხოლოდ [illegible] და საქართველოს ბოლო წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, ფორუმი ქვეყნის მმართველობის ერთადერთ სწორ ფორმად ძლიერ საპრეზიდენტო მმართველობას მიიჩნევს. რაც შეეხება პარლამენტს, მისი ახალი შემადგენლობა სულ სხვა კომპეტენციის, ცოდნისა და გამოცდილების ხალხით უნდა დაკომპლექტდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ეპოქაში იგი ვითარებას ვერ მართავს. ფორუმი ასევე მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს საგარეო მოწყობას, როგორც სწორ სტრატეგიულ არჩევანს, რადგან მიაჩნია, რომ სწორედ მან უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ერთიანი პოლიტიკის განხორციელება.

თავისი დამოკიდებულება ამ პრინციპებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ გამოხატეს ბატონებმა თემურ გოცაძემ, ირაკლი მაჭავარიანმა, პაატა მურვანიძემ, თენგიზ ჭკვიშიამ, ალექსი გერასიმოვმა, კონდრატე ბაბუნაშვილმა, მიხეილ მაჭავარიანმა, გივი მინდელმა, დემურ მიქაძემ, ქალბატონმა ნანა დევდარიანმა. განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა საკითხი საყოველთაო წესრიგის დამყარების, კორუფციის, ტერორიზმის აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ. საზოგადოება უნდა განიწმინდოს ბანდიტებისა და ყაჩაღებისაგან, — განაცხადა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ რეზო ამაშუკელმა, — არჩევნები ამ ძალებისთვის ბოლო გამოცდა უნდა იყოს. ქალბატონმა ლანა ღოღობერიძემ კი აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოება პასუხისმგებელი უნდა იყოს ყველაფერზე, რაც ხდება ქვეყანაში. ფორუმის საერთო აზრით, უმთავრესი პასუხისმგებელი ქვეყანაში წესრიგსა და სტაბილურობაზე მისი ძალოვანი სტრუქტურები არიან.

ამ თემის ლოგიკური გაგრძელება იყო პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ რჩეულიშვილის ერთგვარად მოულოდნელი განცხადება უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის იგორ გიორგაძისა და მისი მოადგილის თემურ ხაჩიშვილის ნდობის საკითხის დაყენების შესახებ. რამ განაპირობა ასეთი კატეგორიულობა? ვახტანგ რჩეულიშვილის განმარტებით, დღეს, როდესაც ქვეყანაში დაწყებულია სახელმწიფოებრივი მშენებლობის ახალი ეტაპი, აშკარად შეიმჩნევა იმ ძალთა კონსოლიდაციის ტენდენცია, რომლებიც ყველა საშუალებით ცდილობენ არ დაუშვან შევარდნაძის პრეზიდენტობა. ორთოდოქსი კომუნისტის პანტელეიმონ გიორგაძის მტკიცებით, ერთადერთი ხალად მოაზროვნე კაცი საქართველოში ჯაბა იოსელიანია, თქვა მან. ამ დროს მის ვაჟს, უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს, მოადგილედ მხედრიონელი თემურ ხაჩიშვილი ჰყავს. ამასთან, ისიც ეჭვგარეშეა, რომ პანტელეიმონ გიორგაძის პარტია საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს პრეზიდენტობის სხვა კანდიდატს, კერძოდ, ჯუმბერ პატიაშვილს დაუჭერს. — მე პრინციპული წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელ აპარატში მუშაობდნენ რომელიმე პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, უშიშროების სამსახური არ შეიძლება იყოს პოლიტიკის ელემენტი. იგი ყოველგვარი პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფალი სჭირდება ქვეყანას. — ასე გამოხატა პოზიცია ახლად შექმნილი სოციალისტური პარტიის სახელით ბატონმა რჩეულიშვილმა და ფორუმმაც მოუწოდა მხარი დაეჭირა მისი მოთხოვნისათვის.

— ჩვენ კატასტროფული ტემპით მივდივართ იმ მდგომარეობისაკენ, როდესაც რეალური ძალაუფლება პრეზიდენტსა და პარლამენტს კი არ ექნება, არამედ იმ ძალებს, რომლებმაც იგი იარაღითა და ფულით მოიპოვა, — აღნიშნა მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ზურაბ ჟვანიამ, — ჩვენი პერსპექტივა ძალიან მძიმეა, თუ არ გავაცნობიერებთ იმ საშიშროებას, რომელიც დღეს საქართველოს ემუქრება — ეს არის ქვეყანაში კრიმინალური ხელისუფლების დამყარების საშიშროება. ჩვენ ნახევარ ნაბიჯზე ვართ მისგან.

ბატონმა ჟვანიამ ფორუმის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ათამდე ტერორისტული აქტიდან, რომლებსაც ცნობილი მოღვაწეები შეეწირნენ, არათუ გახსნილია რომელიმე, არამედ უბრალო მინიშნებაც კი არ ჩანს მათი ორგანიზატორთა ვინაობაზე. ეს კი სრულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ეჭვის ქვეშ დადგეს სათანადო ორგანოთა კომპეტენტურობის საკითხი.

ფორუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

დღევანდელობის უმთავრეს თემასთან, კონსტიტუციასთან დაკავშირებით ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ სწორედ კონსტიტუციამ უნდა გასცეს პასუხი ყველაზე აქტუალურ კითხვას: გააგრძელებს თუ არა ქვეყანა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის კურსს—დემოკრატიული, ერთიანი საქართველოს შექმნის გზას. მან აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მიღების პროცესი იქნება ურთულესი პროცესი, დაკავშირებული სერიოზულ პოლიტიკურ ბრძოლასთან, მაგრამ, ამავე დროს, კონსტიტუცია ნიშნავს იმას, რომ საქართველო საბოლოოდ ჩაეწერება მსოფლიო თანამეგობრობაში, როგორც ქვეყანა, რომელმაც თავისი არჩევანი კონსტიტუციით დააკანონა.

—მე მჯერა, რომ მოვასწრებთ სრულფასოვანი და სრულყოფილი კონსტიტუციის მიღებას, რომელიც ყველაზე მაღალ სტანდარტებს უპასუხებს, — თქვა შემდეგ ბატონმა შევარდნაძემ, — მის საფუძველზე მივიღებთ საარჩევნო კანონს და ჩავატარებთ პრეზიდენტისა და ორპალატიანი პარლამენტის არჩევნებს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ქვეყანას არ შეუწყდეს ის ჰაერივით აუცილებელი დახმარება, რომელსაც იგი იღებს ჩვენი მეგობარი ქვეყნებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

(დასასრული მე-2 გვ.).

სოციალური პროგრესის პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხის ნების ამოქმედებას

საქართველოს სოციალური პროგრესის პარტიამ, რომელიც ამასწინათ შეიქმნა, გაავრცელა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ დემოკრატიისაკენ წინსვლის გზაზე, მოცემულ ეტაპზე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისათვის ფუნქციების დაბრუნებასა და ხალხის ნების ამოქმედებას. სოციალური პროგრესის პარტია ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ სადღეისოდ, მმართველობითი აპარატი, განსაკუთრებით ადგილებზე, თანდათანობით შორდება საზოგადოებას, რაც უწინარესად იწვევს იმას, რომ უგულებელყოფილია ზრუნვა სოციალურ პრობლემებზე.

კონკრეტულად, პარტიას მიაჩნია, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ადგილობრივი ორგანოების არჩევნების თარიღი; დაყოვნება გამორიცხულია, რადგან მათს მანდატს მიმდინარე წლის მარტში გაუვიდა ვადა. ამ სამართლებრივი ვაკუუმის შექმნას ან მის გაგრძელებას ვერც ის ფაქტი გაამართლებს, რომ დღემდე არ არის გამოტანილი სახალხო აპრობაციაზე კონსტიტუციის შეჯერებული პროექტი.

პარტიას მიაჩნია, რომ ადგილობრივ არჩევნებამდე უფლებამოსილების ვადა უნდა გაუგრძელდეთ საკრებულოებს და დაევალოთ მათ გამგეობათა ანგარიშების მოსმენა, მათი მუშაობის შეფასება, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და ადმინისტრაციული რეკომენდაციების შემუშავება.

იქ, სადაც საკრებულოები სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ამოქმედდებიან, მოეწყოს რაიონის მოსახლეობის გამოკითხვა („მცირე რეფერენდუმი") გამგეობათა მუშაობის შესახებ, რომლის საფუძველზეც შეფასდება და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები. სოციალური პროგრესის პარტია იმედს გამოთქვამს, რომ ხელისუფლება გამოეხმაურება ამ წინადადებებს.

განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პარტია ამ და სხვა საკითხებში თანამშრომლობისათვის იწვევს ყველა დაინტერესებულ პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ორგანიზაციას.

საერთო პრობლემები

28-29 ივნისს გერმანიის ფრიდრიხ ებერტის სახელობის ფონდი საქართველოს ნოე ჟორდანიას სახელობის ფონდთან ერთად მართავენ საერთაშორისო კონფერენციას თემაზე: „პოსტკომუნისტური საზოგადოება: განვითარების გზები".

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტური პარტიებისა და დემოკრატიული მოძრაობების წარმომადგენლები საქართველოდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან, ყაზახეთიდან, თურქმენეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან, ესტონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

„მთელი საქართველო უნდა დაირაზმოს სამართლიანი, ობიექტური არჩევნებისათვის"

(დასასრული)

არჩევნებში გამარჯვების შანსი ყველა პარტიას აქვს, უფრო სწორად, უნდა ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ვისაც ხალხი ენდობა და მისცემს ხმას. მე მხოლოდ ერთადერთი პოლიტიკური ძალის მიმართ გამოვთქვი ჩემი უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება. ეს არ ეხება საერთოდ კომუნისტებს ან სოციალისტებს. მე, მაგალითად, მივესალმე იმას, რომ ვახტანგ რჩეულიშვილმა სოციალისტური პარტიის შექმნა წამოიწყო. სოციალისტურ იდეაში დასაგმობი და უგულებელსაყოფი არაფერი არ არის. ბევრი ქვეყანა, რომელიც ამ იდეას მისდევს და რომელმაც იგი არ უგულებელყო, აყვავდა. ჩვენ სხვა სისტემა დავგმეთ...

იმ კომუნისტებთან, რომლებიც პარლამენტში არიან წარმოდგენილი, ჩვენ შესანიშნავად ვთანამშრომლობთ. ისინი ღირსეული ხალხია. მხედველობაში მყავს ბატონები ბერიანიძე, ბრეგაძე, მათთან ერთად წიკლაური და სხვები. საფრთხე, როგორც მე მას ვუწოდებ, ბოლშევიკურ ფუნდამენტალიზმშია, რომლის მიმდევარნიც პანტელეიმონ გიორგაძის მომხრეები არიან. ამ მოძრაობას გენერალი გიორგაძე ლიდერობს. ადამიანი, ალბათ, მთლად დალაგებული არ უნდა იყოს, საბჭოთა კავშირის აღდგენის, ესე იგი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით რომ გამოდიოდეს. მე არავის არ ვაყენებ შეურაცხყოფას და არც ისეთ ეპითეტებს ვიკადრებ, როგორსაც იყენებს იგი სახელმწიფოს მეთაურის მიმართ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ეს ანომალიაა. ერთი შეხედვით ეს პრორუსულ პოზიციად ჩანს, მაგრამ სინამდვილეში წმინდა წყლის ანტირუსული პოლიტიკაა, რადგან ქვეყანაში ამკვიდრებს ანტირუსულ განწყობილებებს. მე მივმართავ ბატონ პანტელეიმონს: ჩვენ, ქართველ ხალხს, საქართველოს მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას გვინდა ახალ რუსეთთან მეგობრობა და მეზობლობა, თუ გნებავთ, ძმობა, ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით, თქვენ კი ამის საწინააღმდეგო პოლიტიკას ადგახართ. მაგრამ, კმარა! მივცეთ საშუალება ხალხს, თავად გაერკვეს ყველაფერში და, როგორც იტყვიან, ყველას თავისი შეფასება მისცეს.

რაც შეეხება ფულიანი და იარაღიანი კაცის პრობლემას, მთელი საქართველო უნდა დაირაზმოს სამართლიანი, ობიექტური არჩევნებისათვის. აქ ვერც ავტომატმა უნდა გაიმარჯვოს და ვერც კამფეტებმა, რადგან ძალადობასა და მოსყიდვაზე დამყარებული, და ამ ბაზაზე გამართული არჩევნები, მისი შედეგები მომავალში ძალადობასვე დააკანონებს — ცალკეული კლანებისა და კრიმინალების ძალადობას.

ხელისუფლების ჯანსაღი ნაწილისა და ხალხის კავშირი უზრუნველყოფს ნორმალური არჩევნების მოწყობას. ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება მეტი უცხოელი მეთვალყურე ჩამოვიდეს და მთელმა მსოფლიომ დაინახოს, რას წარმოადგენს დღევანდელი საქართველო, როგორია მისი ხალხი და ამ ხალხის პოლიტიკური კულტურა.

— ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ყველას ძალიან აინტერესებს, გაკოტრებული კომპანიები და ბანკებია. ამ მხრივ ხომ არ არის რაიმე სიახლე?

— ეს ჩვენი უდიდესი ტკივილია. მე ხელი მოვაწერე განკარგულებას, რომელიც შეიძლება არც გამოქვეყნდეს. თუ ფაქტობრივად ვიმსჯელებთ, სახელმწიფოს შეუძლია ხელი დაიბანოს, რადგან იგი არ აგებს პასუხს კერძო კომპანიებისა და კერძო ბანკების საქმიანობისათვის, თუმცა მომავალში, ალბათ, გარკვეული მექანიზმი უნდა შევიმუშაოთ გაკოტრების პროცესის შესანელებლად. მიუხედავად ამისა, მეც და მინისტრთა კაბინეტმაც გავითვალისწინეთ ის უმძიმესი პირობები, რომელშიც ათიათასობით მოქალაქე აღმოჩნდა. ბევრ მათგანს ვიცნობ, ბევრი მათგანი მეცნიერია, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეა, ბევრიც რიგითი მოქალაქეა. მათ, რომ იტყვიან, უკანასკნელი ბეჭედი გაყიდეს და ამ ბანკებსა და კომპანიებს მიანდეს, რომ ცოტათი სული მოეთქვათ. ამიტომ არ შეგვეძლო გულგრილი დავრჩენილიყავით. ახლა არაფერს ვიტყვი მიღებულ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ, ვფიქრობ, გამოსავალი მაინც მოიძებნა, ისეთი გადაწყვეტილება მივიღეთ, რომლის მიღებაც დღევანდელ სახელმწიფოს შეუძლია. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ხალხიც ასე თუ ისე კმაყოფილი უნდა იყოს. დახმარება მომავალშიც გაგრძელდება.

— გასულ კვირას დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის ნეშტი ქაშვეთის ტაძრის ეზოში გადმოასვენეს. უაღრესად სიმბოლური იყო, რომ წარსული დროის მოღვაწეს დღეს ასეთი პატივი მიაგეს. სულ რაღაც 2-3 თვეში, პირველად თბილისში, რესპუბლიკის მუსიკოს-შემსრულებელთა პირველი კონკურსი გაიმართება. ამ წამოწყებას სხვებთან ერთად ქალბატონი მანანა დოიჯაშვილი უდგას სათავეში. ასე რომ, ეტყობა, ხალხს ტერორით მაინც ვერ დააშინებ და ვერ შეაჩერებ, მას მადლიერების გრძნობაც აქვს და მომავლის იმედიც...

— ვერავითარი ტერორი ისტორიის ჩარხს უკუღმა ვერ შეატრიალებს. რაც შეეხება დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის გადმოსვენებას, ჩემს პატარა გამოსვლაში გუშინ ვთქვი, რომ ეს ისტორიული სამართლიანობის აღდგენაა. მადლობას იმსახურებს ამ საქმის ყველა ინიციატორი, უწინარესად ბიზნესმენები, რომლებსაც სურთ დავით სარაჯიშვილის გზით იარონ. გავიდა თითქმის საუკუნე და სწორედ საუკუნის შემდეგ დაადგა საქართველო იმ გზას, რომელ გზასაც დავით სარაჯიშვილი და მისი თანამოაზრენი ადგნენ. ეს ფაქტი იმის სიმბოლოც არის, რომ გზა მიეცეს ნამდვილ ბიზნესს, სარაჯიშვილის ყაიდის მეწარმეებს. მე ასე წარმომიდგენია: მეწარმეები, რომლებმაც დროშად გაიხადეს დავით სარაჯიშვილი, მარტო ეკონომიკურ წინსვლაზე არ ფიქრობენ, თუმცა ეკონომიკური წინსვლა ყველაფრის საფუძველია — ისინი ფიქრობენ (და მე მათი მადლიერი ვარ) ხალხის განათლებაზე. ყველაზე დიდი ინვესტიცია ბიზნესმენის მხრივ სწორედ განათლების სფეროში დაბანდებული ინვესტიციაა. მათ კარგად იციან, რომ მაღალი და დიდი კულტურის გარეშე ვერ იქნება დიდი ეკონომიკა და დიდი ბიზნესი, რომ მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების დონე ეკონომიკის აღმავლობის აუცილებელი პირობაა. ბედნიერი ვარ, რომ ბიზნესმენების იმ თაობას, რომელიც ახლა გამოდის ასპარეზზე, ყველაფერი ეს კარგად ესმის. მეცენატობა, მსოფლიოში მიღებული საუკეთესო ტრადიციები თანდათანობით მკვიდრდება.

მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი უაღრესად საინტერესო მოვლენად შეიძლება იქცეს, ამიტომ ყველამ შევუწყოთ ხელი, რომ ისიც ტრადიციად დამკვიდრდეს ჩვენს დედაქალაქში.

ნაკლოვანებათა მხილებისა და აღმოფხვრის გზით

(დასასრული)

მნიშვნელოვანი ზარალი, რის გამოც სააქციო საზოგადოების დირექტორი მ. არჯევანიძე დაპატიმრებულია და მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

კომისიის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკის პროკურატურასა და უშიშროების სამსახურს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ „აზოტში" აღმოჩენილი დარღვევების თაობაზე სისხლის სამართლის საქმის დროული გამოძიება. კონტროლის პალატამ უნდა შეამოწმოს მსხვილი საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის კანონიერება. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დაევალა, ქონების რეალური ღირებულების დაზუსტებამდე, დროებით შეაჩეროს „აზოტის" აქციონირების შესახებ დადგენილების მოქმედება და შეიტანოს მასში საჭირო ცვლილებები, მინისტრთა კაბინეტმა კი განიხილოს შესაბამისი სამსახურებისა და მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი.

სერიოზული დარღვევები გამოვლინდა, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო მუშაობის, ვიზებისა და უცხოელთა რეგისტრაციის მთავარი სამმართველოს საქმიანობის შემოწმების შედეგად. შემოწმებამ ცხადყო, რომ სისტემაში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მოქალაქეთა საზღვარგარეთ გასასვლელი პასპორტებისა და სხვა დოკუმენტების დაცვა-შენახვის საკითხებს. დადგინდა 1914 ცალი პასპორტისა და 401 გასვლის ვიზის დანაკლისი. შემოწმების პროცესში მიღებული ცნობით, 1993 წელს მოსკოვიდან აფხაზეთში გაიგზავნა 12 ათასი ცალი საზღვარგარეთ გასასვლელი პასპორტი. სისტემაში აღმოჩენილი დარღვევების დამადასტურებელ სხვა კონკრეტულ მაგალითებს შორის ბატონმა რევაზ შავიშვილმა მოიყვანა ასეთი ფაქტიც: თბილისი-მოსკოვის ორი რეისის მგზავრთა 500 პასპორტიდან ექსპერტიზა გაუკეთდა 29 პასპორტს, საიდანაც თბილისის სავიზო განყოფილების სავიზო ბეჭდით დამოწმებული აღმოჩნდა მხოლოდ რვა. დანარჩენ 21 პასპორტზე დასმული ბეჭდები აღმოჩნდა ყალბი ან შეცვლილი იყო მოქალაქეთა სურათები.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საპასპორტო საქმე უმოკლეს დროში უნდა მოგვარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო ვერც ერთ საკითხში ვერც ერთ ქვეყანასთან ვერ იქნება პარტნიორი. სახელმწიფოს მეთაურმა განსაკუთრებით აღნიშნა მიგრაციის სამსახურის შექმნის აუცილებლობა.

კომისიის გადაწყვეტილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს და კონტროლის პალატას წინადადება მიეცათ განიხილონ შემოწმების შედეგები და მიიღონ გადამჭრელი ზომები. მიზანშეწონილად ჩაითვალა საპასპორტო-სავიზო ბიუროსთან ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა. საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა დაამყაროს მკაცრი კონტროლი საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ გასასვლელი პასპორტების გაცემაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, შეიქმნას სამთავრობო კომისია რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას ხელმძღვანელობით, რომელშიც შევლენ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. კომისიამ 15 აგვისტომდე უნდა შეიმუშაოს და მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განსახილველად შეიტანოს წინადადებები გამოვლენილი სერიოზული დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებებისა და მთლიანად სამსახურის სტრუქტურული რეორგანიზაციის თაობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯემალ გახოკიძემ კომისიას გააცნო ინფორმაცია ბორჯომისა და ლანჩხუთის რაიონებში მომხდარი ინციდენტების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. კომისიამ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა შესაბამისი სტრუქტურების მუშაობა და დაავალა რესპუბლიკის პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, უზრუნველყონ აღნიშნული საქმეების დროული და სრულყოფილი გამოძიება.

სხდომაზე მოისმინეს თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის უფროსის ნოდარ თათარაშვილის ინფორმაცია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 1995 წლის საგაზაფხულო გაწვევის მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ საგაზაფხულო გაწვევა, წინა წლებთან შედარებით, ორგანიზებულად მიმდინარეობს. რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი მაღალი შეგნებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა შეიარაღებული ძალების მშენებლობის საკითხს. დღეისათვის გეგმით გათვალისწინებული ბრიგადები და სამხედრო ნაწილები 100 პროცენტით არის დაკომპლექტებული, რაც ადგილობრივი მმართველობის, სამართალდამცავი ორგანოებისა და სამხედრო კომისარიატების ერთობლივი მუშაობის შედეგია. თუმცა ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში წვევამდელთა გაწვევა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. კერძოდ, შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტებში არც ერთი წვევამდელი არ ჩამოუყვანიათ აჭარიდან, მესტიის, ყაზბეგის, ლენტეხის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, წალკის რაიონებიდან.

სხდომაზე ითქვა, რომ სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აღდგენილია მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო სწავლება. რაც შეეხება სამხედრო კათედრებს, ისინი ამჟამად რესპუბლიკის რვა უმაღლეს სასწავლებელთან არის შექმნილი. თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის განცხადებით, თადარიგის ოფიცრების რაოდენობა თანამედროვე ეტაპზე სრულად აკმაყოფილებს რესპუბლიკის სამობილიზაციო მოთხოვნებს, ამიტომ მიზანშეუწონელია უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა თხოვნა, გაიხსნას მათთან სამხედრო კათედრები. არგუმენტი: ამდენი სამხედრო კათედრა სერიოზულად შეაფერხებს ქართული არმიის მშენებლობას. ბატონ ედუარდ შევარდნაძის აზრით კი, საჭიროა თავდაცვის სამინისტრომ შეამოწმოს მოქმედი სამხედრო კათედრების საქმიანობა და, თუ ისინი საჭირო მოთხოვნებს არ პასუხობენ, გააუქმოს.

მან დაავალა რწმუნებულებს, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ გაწვევის ორგანიზების საკითხებს.

იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ლილუაშვილმა კომისიის წევრებს განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი „სასამართლოს შესახებ". ამ დოკუმენტმა, რომელიც შედგენილია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებით, საფუძველი უნდა დაუდოს სასამართლო რეფორმას ჩვენს რესპუბლიკაში, პროექტი ითვალისწინებს რეფორმის ეტაპობრივ განხორციელებას. სახელმწიფოს მეთაურმა დადებითად შეაფასა წარმოდგენილი კანონპროექტი, რომელიც განსახილველად წარედგინება პარლამენტს.

სხდომაზე გადაწყდა 1995 წლის 21 ივლისს გაიმართოს ადგილობრივი მმართველობის, უშიშროების სამსახურისა და სამართალდამცავი ორგანოების რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც განიხილება 1995 წლის პირველ ნახევარში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით შესრულებული მუშაობის შედეგები.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები კომისიამ განიხილა დახურულ სხდომაზე.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო-საქინფორმი.

ლოგიკურიც და... მოულოდნელიც

(დასასრული)

სახელმწიფოს მეთაური შეეხო ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხს და ილაპარაკა ფედერალიზმის პრინციპის დადებით მხარეებზე. მან აღნიშნა, რომ სწორედ ფედერალურმა მოწყობამ გადაარჩინა ამერიკის შეერთებული შტატები დაშლისა და გაუთავებელი სამოქალაქო ომებისაგან, ხოლო ყველაზე უნიტარული სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი ვერ გადაურჩა დაქუცმაცებას. საქმე უნიტარიზმში როდია, — განაცხადა ბატონმა შევარდნაძემ, — საქმე ის არის, თუ რა პრინციპებს დავუდებთ საფუძვლად ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას, როგორი იქნება გარანტიები ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნებისათვის. ფედერალიზმის იდეას რომ ასე დაბეჯითებით ვთავაზობ ხალხს, მხედველობაში მაქვს რამდენიმე მომენტი. პირველი, ეს არის ის, რომ ფედერალიზმის საწყისები გვაძლევს საშუალებას უფრო ჩქარა და მშვიდობიანად დავიბრუნოთ აფხაზეთი და გადავწყვიტოთ სამაჩაბლოს პრობლემა. სხვა გზაც რომ ავირჩიოთ, ჩვენ მსოფლიოს თვალში მაინც მართალი ვიქნებით, რადგან აფხაზეთის მოსახლეობას ვთავაზობთ მსოფლიო სტანდარტებს, ავტონომია დაერქმევა მას, რესპუბლიკა თუ სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. დღეს ამ საკითხში საქართველოს, რუსეთის, გაეროს უშიშროების საბჭოს, ევროკავშირის პოზიცია ერთნაირია. და ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ მათ სჯერათ ჩვენი და სჯერათ, რომ ჩვენ ამ პრობლემების ღირსეულად გადაწყვეტა გვინდა, სწორედ ის არის, რომ ფედერაციული მოწყობის არ გვეშინია.

მეორე მომენტი: დაშლის თუ არა სამხარეო მოწყობა საქართველოს? ზოგიერთი ჩემი ოპონენტი ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ არსებობს ქართული ფენომენი, ქართული აზროვნება, საქართველოს ყველა კუთხისათვის დამახასიათებელი. არაერთხელ მითქვამს, რომ ამ თვალსაზრისით მე უფრო მაღალი წარმოდგენის ვარ საქართველოზე და მის კუთხეებზე, ვიდრე ზოგიერთი ჩემი ოპონენტი.

სამხარეო მოწყობის პრინციპს, — თქვა შემდეგ ბატონმა შევარდნაძემ, — აქვს კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ჩვენ შევქმენით გუბერნატორების ინსტიტუტი — ეს არის ქვეყნის პრეზიდენტის თვალი და ყური ამა თუ იმ მხარეში, პრეზიდენტი კი არის ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის გარანტი, რომელიც ნიშნავს თავის წარმომადგენლებს მხარეებში. მათი მოვალეობაა თვალ-ყური ადევნონ, რომ დაცული იყოს ქვეყნის ერთიანობის ინტერესები.

სახელმწიფოს მეთაურმა უარყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამგვარი ინსტიტუტის შემოღება დიქტატურის დამახასიათებელია, რადგან კონსტიტუცია უფლებას აძლევს პარლამენტს, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლის, იმპიჩმენტიც კი გამოუცხადოს პრეზიდენტს.

სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ მისი ამოცანა ამ ეტაპზე არის არა აქტიური წინასაარჩევნო კამპანიის გაშლა, არამედ არჩევნების ნორმალურად გამართვა.

— მე მინდა გავაფრთხილო საქართველოს მოსახლეობა, თუ რა საშიშროების მომასწავებელია იდეები, რომლებითაც პანტელეიმონ გიორგაძის პოლიტიკური პარტია ხელმძღვანელობს, — განაცხადა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. — ეს არის დაკონსერვებული აზროვნება, ბოლშევიკური ფუნდამენტალიზმის ყველაზე საშინელი გამოვლინება, ფაშიზმის გვერდზე დასაყენებელი მოვლენა. თვით რუსეთის ყველაზე მემარჯვენე ძალებიც კი აღარ ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის აღდგენაზე. ეს პარტია კი ამ მოძრაობის ფლაგმანად იქცა, ესე იგი, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდის. ეს არ მოხდება. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მეთაურმა მოუწოდა მოსახლეობას კარგად გაერკვეს თავის არჩევანში და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში უპირატესობა პროფესიონალიზმსა და პროფესიონალებს მიანიჭოს.

შეკრების დასასრულს ფორუმმა მიიღო რეზოლუცია.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

ბუდიონოვსკი: პოლიტიკური კრიზისი რუსეთში

ძალისმიერი გადაწყვეტა თუ კომპრომისი?

ბუდიონოვსკის ტრაგედიამ მთელ მსოფლიოში დიდი გამოძახილი გამოიწვია. მისმა თავისებურმა ხასიათმა არაერთგვაროვანი შეფასება მიიღო. თუმცა ყველა ერთი აზრისაა: ეს იყო მძიმე ტერორისტული აქცია და მას მკაცრად გმობენ. ამ აქციას რუსეთში ხელისუფლების კრიზისი მოჰყვა. რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ — სახელმწიფო სათათბირომ, 21 ივნისს, ვიქტორ ჩერნომირდინის მინისტრთა კაბინეტს უნდობლობის ვოტუმი გამოუტანა.

პრეზიდენტი ბორის ელცინი სათათბიროს გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა. კონსტიტუციით კენჭისყრა მთავრობისადმი ნდობის შესახებ სამი თვის შემდეგ უნდა გაიმართოს, მაგრამ მინისტრთა კაბინეტმა, რომლის სხდომაზეც პრეზიდენტი გამოვიდა, სთხოვა სახელმწიფო სათათბიროს 10 დღის განმავლობაში კვლავ განიხილოს მთავრობის ნდობის საკითხი. პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ მთავრობის კრიზისის გახანგრძლივება ქვეყანაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს და ბიუჯეტი დაუმტკიცებელი დარჩება. სახელმწიფო სათათბირომ მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება — განმეორებითი კენჭისყრა პირველ ივლისს გაიმართება. ამასთან, „დუმამ" მკაცრად გააკრიტიკა ძალისმიერი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების როლი ბუდიონოვსკის ამბებში. მოითხოვეს თანამდებობიდან გაათავისუფლონ მინისტრები ერინი, გრაჩოვი, ვიცე-პრემიერი ეროვნული საქმეებისა და ეროვნული პოლიტიკის საკითხებში ეგოროვი. რაც შეეხება ფედერალური უშიშროების უწყების ხელმძღვანელს სტეპაშინს, მის დასაგმობად დეპუტატთა ხმების საკმარისი რაოდენობა არ შეგროვდა.

კრიტიკა არც საგარეო საქმეთა მინისტრს კოზირევს და ვიცე-პრემიერს ჩუბაისს დაჰკლებია. ყველაზე ნაკლები წინააღმდეგი კენჭისყრისას ჰყავდა პირველ ვიცე-პრემიერს ოლეგ სოსკოვეცს. მის წინააღმდეგ მხოლოდ 109 დეპუტატმა მისცა ხმა.

ნიშანდობლივია, რომ თუ სახელმწიფო სათათბირო კვლავ გამოუტანს უნდობლობის ვოტუმს მთავრობის მთელ შემადგენლობას, მაშინ, როგორც პრეზიდენტმა ბორის ელცინმა არაორაზროვნად მიანიშნა, იგი დაითხოვს სახელმწიფო სათათბიროს და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს.

მიმომხილველთა აზრით მოსალოდნელია გარკვეული კომპრომისი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის თუ პრეზიდენტი ყურად იღებს სათათბიროში ძალისმიერი სამინისტროების კრიტიკას. თავის მხრივ პრეზიდენტმა ელცინმა მკაცრად გააკრიტიკა მათი მოქმედება. 29 ივნისისათვის დანიშნულია რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც განიხილავს ჩეჩნეთის კრიზისს და, კერძოდ, ძალისმიერი უწყებების როლს ბუდიონოვსკის ტრაგედიაში. უშიშროების საბჭოს მდივანი ოლეგ ლობოვი პრეზიდენტის დავალებით ბუდიონოვსკში იმყოფება და საგანგებოდ იძიებს იქ დატრიალებულ მოვლენებს. როგორც გაზეთი „ტრუდი" წერს, ოლეგ ლობოვის აზრით ნაადრევია 17 ივნისს ბუდიონოვსკის საავადმყოფოს შტურმის შეფასება. საამისოდ ყველა მხარის გამოკითხვაა საჭირო, ამჟამად იგი აზუსტებს იმას, თუ როგორ იგეგმებოდა ეს ოპერაცია, რატომ ჩაიშალა იგი და ვინ მისცა არასწორი ინფორმაცია, რომლის გამოც მიიღეს შტურმის გადაწყვეტილება. როგორც იცით, სპეციალური დანიშნულების რაზმის შტურმი ათასზე მეტი მძევლის გასათავისუფლებლად, რომელსაც ჩეჩენი ტერორისტები საავადმყოფოში აკავებდნენ, უნაყოფოდ დამთავრდა, რასაც მოჰყვა მსხვერპლი მძევალთა შორის და სპეციალური დანიშნულების რაზმის რიგებში.

სახელმწიფო სათათბიროში კომუნისტები, აგრარიკოსები და ზოგი სხვა ფრაქცია მწვავედ აკრიტიკებენ არა მარტო მთლიანად მთავრობის პოლიტიკას ჩეჩნეთის მიმართ, არამედ ბრალს სდებენ პრეზიდენტ ელცინს ჩეჩნეთის კონფლიქტის დაწყებაში და ბუდიონოვსკის საავადმყოფოს შტურმის განკარგულების გაცემაში. სახელმწიფო სათათბირომ უარყო იმპიჩმენტის (პრეზიდენტის გადაყენების) პროცესის აღძვრა, რომლის ინიციატორებიც სათათბიროს კომუნისტური ფრაქციაა.

გროზნოში გრძელდებოდა მოლაპარაკება რუსეთის სამთავრობო დელეგაციასა და დუდაევის წარმომადგენელთა შორის, რომელიც ვიქტორ ჩერნომირდინის უშუალო მითითებით დაიწყო. პარასკევს მოლაპარაკება დროებით — სამშაბათამდე შეწყდა. დელეგაციები საკუთარ ხელმძღვანელობასთან საკონსულტაციოდ გაემგზავრნენ. დელეგაცია უკვე ჩავიდა მოსკოვში და შაბათს შეხვდა პრემიერ-მინისტრს ვიქტორ ჩერნომირდინს. გროზნოში მოლაპარაკებისას, რომელიც 19 ივნისს დაიწყო, მხარეები შეთანხმდნენ საომარი მოქმედების მორატორიუმის უვადო გაგრძელებისა და ჩეჩნეთში თავისუფალი არჩევნების მოწყობის, აგრეთვე, ჩეჩნეთიდან ფედერალური ჯარების ეტაპობრივი გაყვანისა და შეიარაღებული ფორმირებების დაშლის შესახებ. მწვავე უთანხმოება რჩება ფედერალური ხელისუფლების მხრივ ჩეჩნეთის 1991 წლის კონსტიტუციის ცნობის საკითხში, რომელმაც რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად, კანონსაწინააღმდეგო აქციად მიიჩნევენ. უთანხმოებაა აგრეთვე მომავალ არჩევნებში ჯოხარ დუდაევისა და მისი ზოგიერთი მომხრის მონაწილეობის თაობაზე. რუსეთის მხარეს მიაჩნია აგრეთვე, რომ ჩეჩნეთის პოლიტიკური სტატუსი საყოველთაო არჩევნების შემდეგ უნდა განისაზღვროს.

გროზნოდან საკონსულტაციოდ ჩამოსულ სამთავრობო დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა განაცხადა, რომ ხელში იღებს გროზნოში მიმდინარე მოლაპარაკების სათავეებს, კვირას რუსეთის მინისტრთა კაბინეტმა სამთავრობო დელეგაციას მისცა დამატებითი უფლებამოსილება: შეთანხმების ხელმოწერამდე აწარმოოს მოლაპარაკება, თუ მეორე მხარე სამისოდ მზად იქნება.

მიმომხილველები არ გამორიცხავენ, რომ მოლაპარაკებას სათავეში თვით პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი ჩაუდგება. როგორც ხედავთ, ბუდიონოვსკის ტრაგედიამ გამომაფხიზლებელი ზემოქმედება იქონია იმ გავლენიან წრეებზეც, რომლებიც ჯიქურად ადგნენ ჩეჩნეთის კრიზისის ძალისმიერი გადაწყვეტის გზას და იმათზეც, ვინც სათანადოდ ვერ აფასებდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილ რეალობებს, ახალი რუსეთის როლსა და ადგილს თანამედროვე მსოფლიოში.

ამრიგად, თუმცა სამი წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოჩნდა ჩეჩნეთის კრიზისის გონივრული გადაწყვეტის პერსპექტივა.

ირაკლი ჯაფარიძე.

რუსეთის პრესის სარკეში

სხვისი ჭირი ყველას ჭირია?!

ჩემი დღევანდელი მიმოხილვა სევდით არის შეფერილი. ტერორისტული აქტის მორიგი მსხვერპლი გახდა სოლიკო ხაბეიშვილი. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება, რომელთაც კი თვალი მივადევნე, ბუნებრივი სოლიდარობით იტყობინება ამ ფაქტს და აღშფოთებულია კიდევ ერთი უაზრო ძალადობის გამო. სხვისი ჭირი ყველას ჭირია. და ამ შემთხვევაში, კიდევ იმიტომ, რომ ტერორიზმმა არც საზღვრები იცის და არც გონებ საბუთებით ხელმძღვანელობს.

ჟურნალისტთა აზრები ერთ რამეში ემთხვევა: ასეთ შემთხვევებში კითხვებიდან — **როგორ, რატომ და ვინ** — ბოლო ორ კითხვაზე, როგორც წესი, პასუხს ვერ ვღებულობთ.

რა თქმა უნდა, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების ყურადღების ცენტრშია ბუდიონოვსკის თავდასხმა. ეს ამბავი განიხილება არა როგორც ცალკე ტრაგიკული შემთხვევა ან ტერორიზმის მორიგი ლოკალური აქტი, არამედ როგორც ახალი ეტაპი რუსეთის სამოქალაქო ომისა. რომელიც კარგა ხანია უკვე მიმდინარეობს.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ მოვიყვანო სერგეი კოვალიოვის სიტყვები: თუ ტერორისტთა მთავარი მოტივი ჩეჩნეთის ავანტიურაში დაღუპულ თანატომელთათვის შურისძიებაა, მათ უნდა სცოდნოდათ: XX საუკუნეში არ შეიძლება ბოროტების გამოსყიდვა მორიგი ბოროტებით. **ჩვენს დროში ამგვარი დანაშაული ძალადობის ჯაჭვურ რეაქციას იწვევს, სიძულვილისა და ბოროტების შეუდარებლად მეტ საპასუხო პოტენციალს წარმოშობს, ვიდრე თვით მასშია ჩადებული და აი, უკვე ახლა, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თითქმის დაუფარავად ლაპარაკობენ „სახალხო მრისხანების ტალღაზე ჩეჩენი ბანდიტების წინააღმდეგ".**

ეს მოწოდებები არა მარტო პროვოკაციულია, არამედ არც [illegible]გაროა. ამით სურთ ყურადღება ჩამოაშორონ ბუდიონოვსკის ტრაგედიაში ფედერალური ხელისუფლების დანაშაულს, რომელიც მის უშუალოდ ჩამდენთა დანაშაულზე არათუ ნაკლებია, არამედ ალბათ, უფრო მეტიც არის. ჯერ ერთი, ფედერალური ხელისუფლება დამნაშავეა იმ პირობების წარმოშობაში, რომლებმაც ბუდიონოვსკის ხოცვა-ჟლეტამდე მიგვიყვანა. მეორე: მან ცხადყო თავისი სრული უუნარობა წინასწარ განჭვრიტოს და თავიდან აიცილოს ამგვარი ტერორისტული აქტები რუსეთის ქალაქების მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ".

გაზეთი „იზვესტია", რომელიც ერთგულია თავისი პრინციპებისა, გაწვდის მოვლენათა ასეთ ინტერპრეტაციას: „...[illegible] სხედან აფხაზები, რომლებმაც ხელი გაიწაფეს ქუჩის ბრძოლებში აფხაზეთსა და ჩეჩნეთში, სადაც იყენებდნენ ყველაზე საიმედო საფარს მშვიდობიანი მოსახლეობის სახით. ისინი ბუდიონოვსკშიც ისე გრძნობდნენ თავს, როგორც თევზი წყალში".

ესეც „აფხაზური ბუმერანგი", რომელზეც უკვე კარგა ხანია ყველას გასაგონად ლაპარაკობდა ედუარდ შევარდნაძე. შეიძლება ითქვას, რომ წინასწარმეტყველის თავისი რენომე მან ამ შემთხვევაში გაამართლა.

„მოსკოვსკიე ნოვოსტის" ცნობილ რუბრიკაში „ციტატა" გამოყოფილია ედუარდ შევარდნაძის სიტყვები — „რატომ არ უნდა დაისვას საკითხი აფხაზეთის ავსტრალიის შემადგენლობაში შესვლის შესახებ?" ედუარდ შევარდნაძის აშკარა ირონია ყოველკვირეულს იმისთვის გამოადგა, რომ კომენტარის სტრიქონებში გაეტარებინა აზრი, რომ **აფხაზეთის მხარეს არ გააჩნია მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და წაყენებული პირობების მიღების ალტერნატივა,** გარდა, რა თქმა უნდა, სამოქალაქო ომისა, რომლის დროსაც დღეს, ახალ მოკავშირეთა გამოძებნა არძინბას გაუჭირდება.

რუსეთის პრესაში ქართული თემატიკისადმი ინტერესი, როგორც, ალბათ, დაკვირვებულმა მკითხველმა უკვე შეამჩნია, მოქცევისა და მიქცევის კანონზომიერებებს ექვემდებარება. ახლა მოქცევაა. ნიურნბერგთან, უცხოელი ლტოლვილების ბანაკში, ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს 46 ქართველი, რომლებიც პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსს ელოდებიან. მათ პოლიტიკურ მიდრეკილებებზე არაფერს ამბობენ, თუმცა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომელი კატეგორია ასაღებს დღეს თავს დევნილებად. არც პატრიოტთა გვარები ვიცით. მოჰყავთ მხოლოდ ერთი სიმპათიური დეტალი: „სამი ქართველი ისე გაანაწყენა თავიანთი ფეხბურთის გუნდის დამარცხებამ გერმანელებთან, რომ ფანჯრიდან გადმოყარეს სკამები და ტელევიზორი". „თუმცა ისინი მაგრად ნასვამები იყვნენ", ასე თქვა ბანაკის დირექტორმა. როგორ ზეგავლენას მოახდენს ეს ფაქტი მეორე სამშობლოს შეძენაზე, ამაზე დირექტორს არაფერი განუცხადებია.

„იზვესტიის" კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ იარაღის კონტრაბანდის საქმეზე ტალინის ციხეში ზის კაცი, რომლის შაშხანითაც მოკლეს ოთარ კვანტრიშვილი. ეს არის ესტონეთის სპორტსმენთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე აივარ ჰალერი. იგი აცხადებს, რომ არაფერი იცის მისთვის ფინეთიდან ჩამოტანილი და შემდეგ გაყიდული იმ სნაიპერული შაშხანის ბედზე, რომლითაც მოკლეს რუსეთის სპორტსმენთა სოციალური დაცვის ფონდის თავმჯდომარე. მაგრამ ჰალერისა და კვანტრიშვილის პროფესიული კუთვნილებისა და სხვა ინტერესთა თვით ასეთი დამთხვევაც რაღაცაზე მეტყველებს.

ეკონომიკური სფეროს მთელი რიგი მოვლენებიდან ჩვენ მკითხველს დააინტერესებს შემდეგი ცნობა. საფრთხე შექმნა თურქეთის განზრახვას აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის ტერიტორიების გავლით მოახდინოს შუა აზიის ნავთობის ტრანსპორტირება, რის გამოც დემირელი ახლახან ალმა-ათაში ჩავიდა. როგორც ცნობილია, საქართველოსაც როგორც სატრანზიტო ტერმინალს აინტერესებს ასეთი ალიანსი. თუმცა, ჩვენ ჯერ კიდევ მოგვიწევს პოტენციურ პარტნიორებს დავუმტკიცოთ ამ ტრანზიტის უსაფრთხოება.

მაგრამ, როგორც იტყობინებიან, რუსეთმა გააკეთა „მხედრული სვლა", შეუთანხმდა საბერძნეთსა და ბულგარეთს შედარებით მოკლე დროში და უფრო იაფად გაიყვანოს ნავთობსადენი ამიერკავკასიისა და თურქეთის გვერდის ავლით. ამრიგად, ბალკანეთის ნავთობსადენი რუსეთს შესაძლებლობას მისცემს კონტროლი დაუწესოს აზიისა და კავკასიის ნავთობის ექსპორტს.

ორიოდ სიტყვა რუსეთის საშინაო პოლიტიკაზე, რომელმაც შეიძლება გავლენა არ მოახდინოს საგარეო პოლიტიკაზე. ყოველკვირეული **„ზა რუბეჟომ"** იმოწმებს ტოკიოს **„ნიხონ კაიძ[illegible]ის""**; „რუსეთის ნომერი პირველი პრეზიდენტი აუცილებლად წამოაყენებს თავის კანდიდატურას ნომერ მეორე პრეზიდენტის პოსტზე. უბრალოდ, ის ჯერ არ ჩქარობს ამის გაკეთებას მის უახლოეს გარემოცვაში უთანხმოებების გამო".

„როსიისკაია გაზეტა" ფლობს საქმიან რჩევას, კერძოდ ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეებისათვისაც: **„საუკეთესო და, რაც მთავარია, წინასწარ განსაჭვრეტ შედეგებს არჩევნებში მიაღწევენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც შეძლებენ უზრუნველყონ ეფექტიანი მუშაობა ამომრჩევლებთან უშუალოდ მათ საცხოვრებელ ადგილებში".**

ყველა ცენტრალურმა პერიოდულმა გამოცემამ მოათავსა მასალები, რომლებიც ეძღვნება პაველ გრაჩოვის პატაკს გენერალ ლებედის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და თადარიგში გაშვების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილებისადმი დამოკიდებულებისა და ინტონაციის მიხედვით ეს პუბლიკაციები შეიძლება დავყოთ „ზომიერად ნეგატიურად" და „კრიტიკულად". პირველ ტიპს მიეკუთვნება „კომუნისტური" და „პროფკავშირული" გაზეთების პუბლიკაციები. „ლიბერალური" გაზეთები ამ ამბავს ძალიან მშვიდად შეხვდნენ.

სამხრეთ მიჯნებზე მოქმედ შეიარაღებულ ძალებს რაც შეეხება, **„კრასნაია ზვეზდა"**, როგორც თავდაცვის სამინისტროს ორგანო, თავის მკითხველებს არწმუნებს, რომ „დუდაევის ბოევიკები განწირულნი არიან", ჯარები კი თავდაჯერებით „სიმამაცის სიმაღლეებზე" მოქმედებენ.

ახლა კი ფინანსებზე, მით უმეტეს, რომ გოეთეს მეფისტოფელს თუ დავუჯერებთ, ადამიანები ლითონს ეწირებიან. ექსპერტების ვარაუდით, რომელთა აზრი საინფორმაციო სააგენტო **„ინტერფაქსმა"** გაავრცელა, დოლარის კურსი მანეთთან შედარებით უახლოეს წლებში დაეცემა, მაგრამ „განსაკუთრებულად" და „ნელა". სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მანეთის „პარიტეტულ-მსყიდველობითი" შესაძლებლობა დოლართან შედარებით (265 დასახელების პროდუქტიდან შედგენილი მოხმარების კალათის ღირებულების მიხედვით) დღეს ასეთ დონეზეა 1:1300.

როგორც ამბობენ, აღდგომა და ხვალეო. მაგრამ, ეჭ რომ მიუხედავად ყველაფრისა, დოლარი მუდამ იქნება ამერიკული დემოკრატიის ნათელი განსახიერება, ვინაიდან სხვადასხვა ღირსების დოლარის კუპიურები ერთნაირი ზომისაა. თუმცა როგორც **„არგუმენტი ი ფაქტი"** გვარწმუნებს, დღევანდელი დოლარების მაკეტი 20-იან წლებში რუს ემიგრანტ მხატვარს დაუხატავს.

გაზეთი **„უტრო როსიი"** გვატყობინებს, რომ გაიმართა ლუდის მოყვარულთა პარტიის პლენუმი, რომელზეც გამოაცხადეს წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება. ლუდის მოყვარულები პოლიტიკურ მოძრაობად გაფორმდნენ და რუსეთის მოქალაქეებს საკუთარი პროგრამა წამოაყენეს. თუ ამ პროგრამას წარმატება ამომრჩევლებს მოუწევთ იფიქრონ იმაზე, თუ დღემდე რატომ არ შეიქმნა არყის მოყვარულთა პარტია, რაც უფრო მეტად შეესაბამება ეროვნულ მენტალიტეტს.

ერთხელ დავწერე, რუსეთის უბედურება ის კი არ არის, რომ მისი ეკონომიკა სტოლიპინიდან ჩუბაისამდე ჩამოქვეითდა, მედ ის, რომ მისი კულტურა [illegible] [illegible] დაეცა-მეთქი.

ახლა რუსეთის პოლიტიკამ ლუდს მიაშურა. ეს შეშფოთებას იწვევს, თუ გავიხსენებთ მიუნხენის „ლუდის პუტჩს"

იური მოსეშვილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობა

ფედერაციისა და დეცენტრალიზაციისათვის

ველგან და ყველა ენაზედ, რომლის ლექსიკონშიაც ოებიან სიტყვანი ფედერაცია და დეცენტრალიზა- არველი ნიშნავს კავშირს რომელიმე საზოგადოებ- ერთეულთა, მეორე რომელიმე საზოგადოებრივი განიზაციის საქმიანობის ისეთ მოწესრიგებას, რომ ლობრივი ინიციატივა და შემოქმედება ცენტრის როკრატიზმმა არ მოჰკლას. ასე ესმის ყველას და ლგან ეს სიტყვები და მათ მიერ აღნიშნულ სახელ- ფოებრივ ფორმისა ან მართვა-გამგეობის სისტემის ერთ თავიანთი საბუთები აქვსთ, თუ რად აძლევენ უპირატესობას. და არსად ფედერალისტები და დე- ტრალიზაციის მომხრენი მოღალატეებად და ერის თიანობის დამრღვევლებად არ ითვლებიან!.

ჩვენში კი ყველაფერი უცნაური უნდა იყოს: წინად, დესაც შეიქმნა ქართული პარტია სოციალისტ-ფედე- ლისტებისა და მან ავტონომია მოითხოვა რუსეთის საზღვრებში, ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა აურზაური ასტეხეს — ფედერალისტებს რუსეთი- საქართველოს და კავკასიის გამოყოფა უნდათო! თვის, რომელთაც პარტიაც არა ჰქონდათ საკუთარი, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია, და რო- რუსეთის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატი- პარტიის ნაწილს წარმოადგენდენ, მიუღებელი იყო რამ, როგორც უკიდურეს ცენტრალისტებისათვის. ამ იმის მაგივრად რომ ცენტრალიზმის პრინციპის ურებით დაკმაყოფილებულიყვნენ, მისდგენ ფედერა- ტებს ცილისწამებით, რუსეთითგან გამოყოფა გინდა- ფედერაცია, კავშირი, რაიცა ჩვენ ფედერალისტებს ერთთან სურდათ, მათ სეპარატიზმად, გამოყოფად აქ- ; ამით საშიშარ პარტიად გახადეს ფედერალისტები მთავრობის თვალშიაც და თვით ქართველი ხალ- თვალშიაც, რომლისთვისაც მაშინ რუსეთითგან გამო- ა რაღაც საშიშარი და წარმოუდგენელი რამ იყო. ფედერალისტებს ალბათ ძალიან კარგად ახსოვთ, თუ რა ბა მიაყენა მათ ამ დემაგოგიურმა ხრიკმა, რომელიც ლოდ ჩვენში გადიოდა და არ გავიდოდა არსად, სა- ხალხს სიტყვის მნიშვნელობაც ესმის და გამოთქ- აზრის გაგებაც შეუძლია. საჭურველად გამოყენე- დროს მოწინააღმდეგის დასამარცხებლად, რომ ჩლუ- „მასა" მართლაც ვერას გაიგებდა, ფედერაციას „კა- რად" კი არა, „გამოყოფად" წარმოიდგენდა და ში- ალტყინებული დაერეოდა „ფედერალისტებს", ანუ პარატისტებს". ამას ზედ დაუმატეს კიდევ ის, რომ ნომია „თვით-მმართველობას" კი არა, არამედ თა- ნაურობის ბატონობას და ბატონ-ყმობის აღდგენას ნავდა და „მასსაში" უკვე მზად იყო მტრული გან- წყობილება ფედერალისტებისადმი: „ჰკა მაგასო," დაა- ეს ერთხელ ეს ჩლუნგი, მოტყუებული ხალხი და ჩვენგანი მოწმეა იმისა, თუ რა წვენი აწვნიეს ფე- რალისტებს სოციალ-დემოკრატებმა დასაბამითგან ფე- რალისტთა მოღვაწეობისა საქართველოს დამოუკიდე- ბამდე.

დღეს სოციალ-დემოკრატები თვით იქცენ სეპარატის- ად და რუსეთთან ფედერაციითაც აღარ კმაყოფილ- ბიან. მაგრამ ცენტრალიზმი თვით საქართველოში მა- ის ისეთივე ერთობის მომასწავებელია, როგორიც ად მთელ რუსეთში უნდა ყოფილიყო, — ერთად- წესი, „ერთობისა". ახლა მათ „ეროვნული" ერთო- ბისათვის მიაჩნიათ ცენტრალიზმი აუცილებელ საჭირო- ად, თუ წინად რუსეთის იმპერიის ერთობისათვის და მთლიანობისათვის მიაჩნდათ. ყოველი სხვა წესი სა- ქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაციისა, მართვა-გამ- გეობისა მათთვის უვარგისია, ფედერაცია კუთხეთა — საქართველოს დაყოფაა, დანაწილება, „სეპარატიზმი", დეცენტრალიზაცია — წარსულის აღდგენა, ფეოდალიზ- „დაქსაქსვა ერისა და კიდევ ვინ იცის, რა ბოროტება, ამასთანავე საწინააღმდეგო დემოკრატიზმისა, დემო- კრატიის მკვლელი, უდიდესი ცოდვა, რომელიც კი ქარ- თველი ერის წინაშე იქმნება ჩადენილი, თუ ვინმემ გა- ბედა და საქართველოს ფედერაციაზედ და დეცენტრალი- ზაციაზედ ხმა ამოიღო: მოღალატეა იგი, მაშასადამე ჰკა მას! — იგივე დემაგოგია, რაც წინად იყო! არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ თუ ცენტრალისტები წინად რუსეთის „მთლიანობას" იცავდენ, ახლა მათ საქართველოს „მთლიანობა" უნდათ დაიცვან ცენტრალიზმით, რათგანაც რუსეთის საქმეებში მონაწილეობის მიღების იმედი დიდი ხანია გაუცრუვდათ.

რამდენად მიუღებელია თვით მეთოდი სოციალ-დემოკრატიის ბრძოლისა ფედერალიზმისა და დეცენტრალიზაციის წინააღმდეგ, — მეთოდი, რომელიც მხოლოდ ჩვენისთანა უბედური ერის წიაღში შეიძლება ხმარებულ იქმნას, იმდენად გასაგებია მათი ასეთი თავ-გამოდებული დაცვა ცენტრალიზმისა: ცენტრალიზმის სისტემა მათ სრულს ბატონობას მიანიჭებს **მთელ საქართველოში** მანამდე, სანამ მათი პარტიის უმრავლესობა იქმნება თბილისის პარლამენტში და ბიუროკრატიული საადმინისტრაციო აპარატებით, კომისარ-გუბერნატორთა ერთგული ხელით მართავენ მთელს ერს ცენტრითგან, სადაც იგინი სუვერენულად იქმნებიან წამოჭიმულნი (და მათი ანგარიშით ეს თვით სოციალიზმის განხორციელებამდე და მით უფრო შემდეგ ასე იქმნება!). ამას იგინი დემოკრატიულ რეჟიმს უწოდებენ. ხოლო როდესაც ყოველ კუთხეში იქმნება თვით ხალხის ინიციატივა განვითარებული, ხალხი კანონმდებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული, ადგილობრივი საქმიანობა, კულტურა, მაშასადამე შეგნებაც მალე განვითარდება, მოქალაქე აღარ იქმნება უბრალო მტვერი „მასსაში", არამედ შეგნებული პიროვნება, მაშინ პარტიულ ბატონობასაც ფრთები შეეკვეცება და ეს არაფრად ეჭაშნიკებათ ცენტრალისტებს. ამიტომ არიან სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგი ყოველი რეჟიმისა, რომელიც ადგილობრივ ავტონომიურ ერთეულებზედ იქმნება დამყარებული.

გარდა სოციალ-დემოკრატებისა, სხვა პარტიებიც არის ჩვენში, ცენტრალიზმს რომ ეტრფიან და იგი მიაჩნიათ ერის ერთობის განმამტკიცებლად და ქვეყნის ხსნად. მათ შორის, შეიძლება ბევრს ეს გულ-წრფელადა სწამდეს, მაგრამ ბევრს კი იგივე ზრახვა აქვს, როგორიც სოციალ-დემოკრატებს. რომ ასეთებიც არიან, ამას ის ამტკიცებს, რომ სოციალ-დემოკრატების გარდა, სხვათაგანაც გვსმენია — ფედერალიზმი საქართველოში ქვეყნის დანაწილებას მოასწავებსო. ჩვენ მათთან საქმე არა გვაქვს. იგინი განიმეორებენ იმასვე, რასაც სოციალ-დემოკრატები ერთხელ ფედერალისტების წინააღმდეგ ამბობდენ: „კავშირს" „განყოფად" გამოიყვანებენ, და ჩლუნგნიც ვერ გაიგებენ და დემაგოგების განზრახ ცილის-წამებას განიმეორებენ. ამისთანა ხალხის წინააღმდეგ იდეური ბრძოლა არც არის საინტერესო.

ჩვენთვის საინტერესოა თვით იდეა. რათგანაც გვწამს, რომ იგი სწორია და მისი განხორციელება სასარგებლო საქართველოსათვის. და ჩვენ გვაინტერესებს არა აზრი შარიანთა და ჩლუნგთა, რომელნიც განზრახ ან სიჩლუნგით ვერ გაიგებენ, რასაც ვამბობთ, არამედ გავრცელება ჩვენი იდეისა იმ ქართველთა შორის, რომელთაც თვით საქართველოსათვის სწადიათ ბრწყინვალე მომავალი, საუკეთესო. მისი წარსულისა და აწმყო ცხოვრების შესაფერისი სახელმწიფოებრივი წყობილება, გარეშე ყოველი პარტიული ანგარიშისა, და რომელნიც გაიგებენ ჩვენს აზრს ისე, როგორც ჩვენ მას გამოვსთქვამთ, აღვიარებთ და ვავრცელებთ.

ჩვენ უკვე არა ერთხელ ნათლად გამოვსთქვით ეს აზრი ჩვენს ორგანოში: ფედერაცია საქართველოს კუთხეთა არ არის დაშლა საქართველოსი, არამედ მტკიცე კავშირი მის ნაწილთა, საუკეთესო წესი მისი ერთობისა, იგი შეეფერება წარსულს ჩვენსას და აწმყო ცხოვრებას. იგი არის ერთად-ერთი საშუალება ჩვენში არსებული, ძველი დროითგან გარდმოცემული, ერისათვის ფრიად მავნებელი პროვინციალიზმის, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა მოსპობისა. იგი არის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა აფხაზეთის საკითხისა და დაკმაყოფილება ყველა იმ პროვინციათა, სადაც კი დაიბადება აფხაზეთის მსგავსი მოძრაობა, რათგანაც ხელ-კეტითა და ტყვიით, ცენტრითგან ჯარების გაგზავნითა და თითის ქნევით ასეთი პრობლემები არ გადაწყვეტილა არსად და ვერც ჩვენ გადავსწყვეტთ. იგი არის ერთად-ერთი საშუალება ადგილობრივი ეკონომიური და ერთობ კულტურული შემოქმედების აღორძინებისა, მაშასადამე, საფუძველი მთელი საქართველოს მომავალი კულტურული სწრაფი განვითარებისა. იგი არის ერთად-ერთი წამალი წინააღმდეგ ცენტრის მიერ ქვეყნის გამოხვრისა, — და ცენტრის მიერ მთელი ერის დაზიანების მაგალითსაც ბევრგანა ვხედავთ, ჩვენზედ უფრო დაწინაურებულ ქვეყნებშიაც, და სხვ. საქართველოს მომავალი ფედერაციული კონსტიტუცია განსაზღვრავს და გაანაწილებს უფლებებს მთელ კონფედერაციასა და მის ცალკე წევრთა შორის. დღეს მხოლოდ პრინციპი გვაინტერესებს ფედერალიზმისა და არა თვით კონსტიტუცია, რომლის დასაწერადაც ჩვენ აქ, ემიგრაციაში, არა ვართ მოწოდებულნი, არამედ რომელსაც დასწერენ საქართველოში ჩვენი წარსულისა და აწმყოს კარგად მცოდნენი ოდეს დადგება, ამისათვის დრო. ჩვენ თვალითა ვხედავთ სახელმწიფოთ, ფედერატიულად და ცენტრალისტურად მოწყობილთა; ვიცით მათი ავ-კარგი, შეგვიძლია მათი შედარება და ყოველთვის ნაკლ-ღირსებათა აღწონვის შემდეგ ფედერატიულად მოწყობილ სახელმწიფოთა უპირატესობა ცხადადა სჩანს. ეროვნული ერთობაც ფედერაციას არსად დაურღვევია. პირიქით, შვეიცარიაში არა თუ გერმანელ კანტონთა სწორედ „ფედერაციისაგან" წარმოიშვა შვეიცარია, შემონაქმედი გერმანელ ტომთა თავისუფლების მოყვარე სულისა, არამედ სწორედ ამ წესმა სახელმწიფო ორგანიზაციისა შექმნა კავშირი ისეთ განსხვავებულ ეთნიკურ-კულტურულ ელემენტთა, როგორნიც არიან გერმანელები, ფრანგები, იტალიელები და სხვანი. და დღეს, მიუხედავად შვეიცარიის „კონფედერაციისა", შვეიცარიელი მოქალაქე უცხოელის წინაშე „შვეიცარიელია", — ასე უხმობს იგი თავის თავს, ფრანგი იქმნება იგი, იტალიელი თუ გერმანელი შთამომავლობით, ან რომელი კანტონის მოქალაქეც არ უნდა იყოს. — ინგლისმა დომინიონები შეიძლება ბოლოს დაჰკარგოს, რათგან იგინი ძლიერ შორს არიან მისგან, მაგრამ ცენტრალისტურ სახელმწიფოთა წესით რომ მან კანადისა, ავსტრალიისა და სხვათა კონსტიტუციები გააუქმოს და პრეფექტები და გუბერნატორები ვაგზავნოს ამ ქვეყანათა ცენტრალისტურ-პოლიციური წესით განსაგებლად, დღესვე დაჰკარგავს მათ, როგორც ერთხელ დაჰკარგა ის ქვეყანა, სადაც დღეს „შეერთებული შტატებია", ე. ი. შეერთებული სახელმწიფოები, — ესეც ფედერატიული და არა ცენტრალისტური სახელმწიფო, სადაც ურთი-ერთს არ უშლიან „ეროვნული ერთობა" და ადგილობრივი თავისუფლება.

აი ჩვენი ფედერალიზმი, რომელიც ყველასათვის ნათლად უნდა იყოს გასაგები. თუ ვერავინ გაიგო, ეს ჩვენი ბრალი არ არის, ვინაითგან, გაუგებრობა ყოველთვის დამწერის ბრალი არ არის, არამედ ხშირად წამკითხველისაც. ჩვენც განვაგრძობთ ამ საკითხზედ წერას ჩვენს ორგანოში. ვისაც გულ-წრფელად მიაჩნია ჩვენი აზრი შემცდარად, სთქვას, — ჩვენს ორგანოში მის მოსაზრებათა გამოთქმისათვის ყოველთვის იქმნება ადგილი. ხოლო ვინც განზრახ არ გაიგებს ჩვენს აზრს და საქართველოს დაშლისა და დარღვევის სურვილს შემოგვწამებს, ის დემაგოგია. მას თავისი პარტიული ანგარიშები აქვს და მათთან არც აზრთა გაცვლა-გამოცვლაა საინტერესო. საქართველოს მოღალატენი ურჩევნიათ სხვაგან ეძებონ, — ჩვენში მათ ვერ ნახვენ!

ხოლო ერთს ვეტყვით მათ: მთელის ჩვენის ძალით შევებრძოლებით მომავალ საქართველოში ყოველ რეჟიმს, რომელიც ერთგვარი ჯიშის მოქალაქეთა მართლაც „მასსას" იმედს და საშუალებას მისცემს, რომ მათ რომელიმე პარტიის მთელს საქართველოში გაბატონების წყალობით სახელმწიფო მოხელეობა, „ჩინოვნიკობა" გაიხადონ ცხოვრებისა და შემოსავლის წყაროდ! ორი მწარე რეჟიმი, ჯერ მენშევიკური და ახლა კიდევ ათასჯერ უფრო ჯოჯოხეთური, ბოლშევიკური, დიდი და მწარე გამოცდილება იყო ჩვენთვის, რომ ასეთი რეჟიმის გაბატონებას შევუწყოთ კვლავ ხელი ჩვენ ქვეყანაში, საქართველოს ყოველი კუთხე უნდა აშენდეს და ყოველი მოქალაქის ენერგია ამ აღმშენებლობაზედ უნდა დაიხარჯოს უპირველესად ყოვლისა. თბილისში მოდენილი ტალღა „ადგილის მძებნელთა" უნდა უკან ეხეთქოს საქართველოს ყოველ კუთხეს, საითგანაც ის მოდის, და იქ დაწყნარდეს. მათი შრომა ადგილობრივ უფრო ნაყოფიერი იქმნება ქვეყნისათვის, ვიდრე მოხელეობა ყველგან, ცენტრითგან პროტექციის წყალობით, დანიშვნით, ცენტრს სულ სხვა ელემენტები დასჭირდება, — რჩეულნი, სულ სხვა მიზნისათვის, და არა მძებნელნი სინეკურისა... თორემ. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, მართლა „ამოყორავენ ტუნელს" ისინი, ვისაც ეს ტალღა ძალაუნებურად პოლიტიკური ცხოვრებითგან კვლავ გარიყავს, როგორც გარიყა 1918-20 წლებში, და სიმართლეც ექმნებათ მათ! მაგრამ ეს მათი „სიმართლე" მთელი საქართველოს სირცხვილი და თავის-მოჭრა იქმნება!

მიხაკო წერეთელი,

„თეთრი გიორგი", ქართველ პატრიოტთა ორგანო, პარიზი, 1931 წელი, აპრილი, № 39.

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1995-1996 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა
2. ისტორია
3. იურიდიული (სამართლისმცოდნეობა) ქართული და რუსული სექტორები
4. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი, ასაკის მიუხედავად.

ინსტიტუტში შემსვლელმა აბიტურიენტმა სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორის სახელზე უნდა შემოიტანოს განცხადება და შემდეგი საბუთები:

— საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (საშუალო-სპეციალური განათლების ან უმაღლესი განათლების დიპლომის პირი)
— სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086)
— 6 ფოტოსურათი (ზომით 3X4)
— ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

პასპორტსა და სამხედრო მიწერის მოწმობას აბიტურიენტი წარადგენს პირადად. ჩარიცხვის წესებს აბიტურიენტი გაეცნობა ინსტიტუტში საბუთების შემოტანის დროს. უმაღლესი განათლების მქონე პირები ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე. საბუთები მიიღება 15 ივნისიდან 25 აგვისტომდე, ყოველდღე 10 საათიდან 17 საათამდე, კვირის გარდა. სწავლება დაიწყება 14 სექტემბერს.

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის მისამართია:
თბილისი, ბროსეს ქუჩა №8
(ოპერის თეატრის უკან. მეტროს სადგურები „რუსთაველი" ან „თავისუფლების მოედანი". 46-ე საშუალო სკოლის შენობა).
ტელ. 99—96-88

1995 წლის 1 ივლისს 15 საათზე, თბილისში, ჭადრაკის სასახლეში (მ. კოსტავას ქუჩა № 37), ეწყობა **სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირის პირველი ყრილობა.**

ყრილობის შემდეგ ტარდება საზეიმო კონცერტი.

საგვარეულოთა კავშირის ცენტრალური საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1995/96 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები:
(საგარეო ვაჭრობის ეკონომიკა);
სამართალმცოდნეობა
(სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამართლებრივი უზრუნველყოფა)

სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი, სწავლება ფასიანია, მეცადინეობა 9-დან 14 საათამდე.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მოქალაქენი, რომლებიც გაივლიან გამოცდა-გასაუბრებას სპეციალობის შესაბამისად შემდეგ საგნებში: **ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, მათემატიკა, უცხო ენა.**

ინსტიტუტში ასევე მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი, რომელთაც სურთ მიიღონ მეორე სპეციალობა.

ინსტიტუტში შემომსვლელმა განცხადებას უნდა დაურთოს:
ატესტატი ან დიპლომი;
სამედიცინო ცნობა (ფორმა 086);
ექვსი ფოტო (3X4).

პასპორტსა და სამხედრო ბილეთს წარმოადგენს პირადად.

საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 20 ივლისამდე, 10-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 8-ა, 64-ე საშუალო სკოლა (მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი").

ტელეფონი: 38-72-99, 23-07-64, 36-56-24, 37-38-51, 37-35-51.

მიმღები კომისია.

ვიწვევთ სასწავლებლად!

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

სამედიცინო ფაკულტეტი:
სამკურნალო, პედიატრიული, სტომატოლოგიური და არატრადიციული მეთოდებით მკურნალობა.

იურიდიული ფაკულტეტი:
სამართალმცოდნეობა.

უცხო ენების ფაკულტეტი:
ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული ენა და ლიტერატურა.

ბიზნესისა და საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი:
საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის, საგადასახადო-საბაჟოს, საფინანსო-საბანკო საქმიანობის, საფონდო, სასაქონლო და შრომის ბირჟის, საკურორტო სამკურნალო და ტურიზმის მეურნეობის, მრეწველობის, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობის, წარმოების ორგანიზაციის, მომსახურების სფეროს, ტრანსპორტის და საშენ-მასალათა მრეწველობის ინჟინერ-ეკონომისტი.

კონკურსზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირები.

ფრიადოსნები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:
სამედიცინო ფაკულტეტი: ბიოლოგია (ტესტური გამოცდა), ქიმია (ტესტური გამოცდა).
იურიდიული ფაკულტეტი: სამართლისმცოდნეობა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
უცხო ენების ფაკულტეტი: ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).
ბიზნესისა და საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. მათემატიკა (ტესტური გამოცდა), **საქართველოს ისტორია** (ზეპირი).

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
განცხადება რექტორის სახელზე, განათლების ატესტატი ან დიპლომი (დედანი), **ჯანმრთელობის ცნობა** (ფ 086), **6 ფოტოსურათი** (3X4), **ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.**

საბუთები მიიღება 24 ივლისამდე, ყოველ დღე, 10-დან 16 საათამდე (გარდა კვირისა).

გამოცდები ჩატარდება 25 ივლისიდან.

აბიტურიენტებისა და დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტი აწყობს **ღია კარის დღეს, 12 და 18 ივლისს, 12 საათზე,** სააქტო დარბაზში.

უნივერსიტეტში სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია, სწავლა ფასიანია. გამოცდის ორგანიზაციისათვის აბიტურიენტი იხდის **5 დოლარის** შესატყვის თანხას.

მოკლე ცნობები:

უნივერსიტეტში ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა **21 კათედრა,** რომლებზეც მოღვაწეობენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები; მათ შორის: **42 აკადემიკოსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი; 62 მეცნიერების კანდიდატი, დოცენტი.** პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით.

დიდი ყურადღება ეთმობა დისციპლინის განმტკიცებას. 1994/95 სასწავლო წელს ლექცია-სემინარების, პრაქტიკული მეცადინეობის სისტემატური გაცდენისა და აკადემიური ჩამორჩენილობის გამო, **გაირიცხა და კურსზე დატოვებული იქნა 125 სტუდენტი. დღეისათვის სწავლობს 1200-ზე მეტი სტუდენტი.**

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე, ცნობილი სასწავლო ცენტრების დონის შესაბამისი სასწავლო პროგრამებით, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისა და ადგილობრივი პირობების მაქსიმალური გათვალისწინებით, **უნივერსიტეტს გააჩნია: ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და ანატომიის საკუთარი კაბინეტ-ლაბორატორიები; თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილი საკუთარი სტომატოლოგიური ცენტრი-კათედრა.**

სისტემატურად ტარდება სამეცნიერო-თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციები, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებას, მათ მომზადებას ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

განსაკუთრებით წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ დავით აღმაშენებლის სახელობის სტიპენდია, მიეცემათ ახლო და შორეული საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სტაჟირების საშუალება, შეეძლებათ უცხო ენების გაძლიერებული პროგრამით შესწავლა.

სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას ემსახურება რესპუბლიკის ისეთი საუკეთესო სამედიცინო ბაზები და კლინიკები, როგორიცაა: ქალაქის პირველი საავადმყოფო, რესპუბლიკური საავადმყოფო, ბავშვთა № 1 საავადმყოფო და სხვა; კურსდამთავრებულები სურვილის შემთხვევაში, ინტერნატურას გაივლიან მოსკოვის და სხვა ქალაქების ცენტრალურ სამედიცინო ბაზებზე.

კონკრეტული დახმარება გაეწევათ იმ სტუდენტებს, რომლებიც სწავლას შეუთავსებენ ბიზნესს.

განხილვის სტადიაშია სამხედრო კათედრის ფუნქციონირების საკითხი, რომელიც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისათვის ოფიცრის წოდების მინიჭების შესაძლებლობას, რაც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შევსებას მაღალი საინჟინრო-ეკონომიკური და სამედიცინო განათლების მქონე ოფიცრებით.

უნივერსიტეტში მუშაობს კალათბურთის, ჭადრაკის და სხვა სპორტული სექციები. კალათბურთის გუნდმა „ამაღლებამ" წარმატებით იასპარეზა სტუდენტთა რესპუბლიკურ უნივერსიადაში. სპორტსმენ და ხელოვნებით დაინტერესებულ აბიტურიენტებს, ჩარიცხვისას მიეცემათ უპირატესობა.

უნივერსიტეტის მისამართია: თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ.,25., ტელეფონი: 22-21-75; 98-94-45; 38-27-20.

რექტორატი.

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის სინქრონული თარგმნის უმაღლესი კურსები

აცხადებს მსმენელთა მიღებას 1995/96 სასწავლო წლისათვის, **ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ განყოფილებებზე.** მიიღებიან **40 წლამდე** ასაკის უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებიც უცხო ენას ფლობენ სპეციალური ინსტიტუტის ან ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დონეზე.

გამოცდები ჩატარდება **უცხო ენასა (წერა, ზეპირი) და ქართულში (წერა).**

კურსებზე სწავლის ვადაა ორი წელიწადი. მეცადინეობა ტარდება ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
განცხადება კურსების გამგის სახელზე;
უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის ასლი;
ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
ჯანმრთელობის ცნობა;
ავტობიოგრაფია (ხელით დაწერილი);
შრომის წიგნაკის ამონაწერი;
ორი ფოტოსურათი (ზომით 3X4);
რეკომენდაცია (იმის მითითებით, რომ ორგანიზაცია ხელს შეუწყობს მსმენელს მეცადინეობაზე დასწრებაში).

საბუთები მიიღება 30 ივნისამდე და 28 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე, 10-დან 15 საათამდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ: **ი. ჭავჭავაძის გამზ., 45, სინქრონული თარგმნის უმაღლესი კურსები, ტელ.: 22-71-82.**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

აცხადებს მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე და სპეციალიზაციებზე:

სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი:

ფერწერა (სპეციალიზაცია: დაზგური და მონუმენტური ფერწერა. თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა, დაზგური და მონუმენტური ფერწერის რესტავრაცია, კინო და ტელევიზიის მხატვრობა); **გრაფიკა** (სპეციალიზაცია: დაზგური გრაფიკა. მულტიპლიკაციური ფილმების სახვითი გადაწყვეტა); **ქანდაკება.**

არქიტექტურის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი:

სამოქალაქო არქიტექტურა, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია, ლანდშაფტის არქიტექტურა; მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება (სპეციალიზაცია: მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვა, არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკა); **ხელოვნების ისტორია და თეორია.**

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი:

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (სპეციალიზაცია: მხატვრული კერამიკა, მხატვრული მინა, ლითონის და სხვა მასალათა მხატვრული ნაკეთობანი, გამოყენებითი გრაფიკა); **ინტერიერი და მოწყობილობა** (სპეციალიზაცია: ინტერიერის პროექტირება, ავეჯის პროექტირება, ავეჯის დეკორატიული ქსოვილები); **საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული პროექტირება** (სპეციალიზაცია: ტანსაცმლის მხატვრული პროექტირება, ტრიკოტაჟის ნაწარმის მხატვრული პროექტირება. ტყავ-გალანტერეის ნაწარმისა და ფეხსაცმლის მხატვრული პროექტირება); **დიზაინი.**

მისაღები გამოცდები სპეციალობების მიხედვით ჩატარდება შემდეგ საგნებში.

დაზგური და მონუმენტური ფერწერა — ფერწერა „ჩაცმული ტორსი" (ტილო, ზეთი), ხატვა — „თაბაშირის ფიგურა" (ქაღალდი, ფანქარი), „კომპოზიცია მოცემულ თემაზე" (ტილო, ზეთი).

თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა, კინო და ტელევიზიის მხატვრობა — ფერწერა „ჩაცმული ტორსი" (ტილო, ზეთი, მუყაო, ტემპერა, გუაში), ხატვა „თაბაშირის ფიგურა" (ქაღალდი, ფანქარი), „კომპოზიცია მოცემულ თემაზე" (ტილო, ზეთი).

დაზგური და მონუმენტური ფერწერის რესტავრაცია — ხატვა „თაბაშირის ფიგურა" (ქაღალდი, ფანქარი), კომპოზიცია „იკონოგრაფიული სქემის შედგენა ფერში" (ქაღალდი, ტემპერა), „ფერწერული ნაწარმოების ასლის გადაღება" (ქაღალდი, ტემპერა, ტილო, ზეთი — აბიტურიენტის სურვილით).

დაზგური გრაფიკა — ხატვა „თაბაშირის ფიგურა" (ქაღალდი, ფანქარი), ფერწერა „ჩაცმული ტორსი" (კომპოზიციურ გარემოცვაში, ქაღალდი, მუყაო, აკვარელი, გუაში), „კომპოზიცია მოცემულ თემაზე" (ქაღალდი, ფანქარი, ფუნჯი, კალამი, ტუში).

მულტიპლიკაციური ფილმების სახვითი გადაწყვეტა — ფერწერა „რთული ნატურმორტი" (ქაღალდი, წყლის საღებავები), ხატვა თაბაშირის ფიგურა" (ქაღალდი, ფანქარი) „კომპოზიცია მოცემულ თემაზე" (ქაღალდი, ტუში, აკვარელი).

ქანდაკება — ძერწვა „თაბაშირის თავი" (თიხა), ხატვა „თაბაშირის ფიგურა" (ქაღალდი, ფანქარი), „კომპოზიცია მოცემულ თემაზე" (ძერწვა, თიხა ან პლასტილინი).

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე: ფერწერა „ნატურმორტი" (ქაღალდი, წყლის საღებავები), ხატვა „თაბაშირის ფიგურა" (ქაღალდი, ფანქარი), „კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით" (ქაღალდი, წყლის საღებავები).

შენიშვნა: ლითონისა და სხვა მასალათა მხატვრულ ნაკეთობათა სპეციალობაზე შემსვლელნი ნაცვლად „ნატურმორტისა" შეასრულებენ მოცემულობას „რთული მორელიეფი" (ძერწვა, თიხა ან პლასტილინი). კერამიკის, მინისა და დიზაინის სპეციალობებზე შემსვლელნი აბარებენ ფერწერაში მოცემულობას „ნატურმორტი", ან ქანდაკებაში მოცემულობას „თაბაშირის თავის ასლი" სურვილის მიხედვით.

არქიტექტურის სპეციალობებზე: სამოქალაქო არქიტექტურა, არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია, ლანდშაფტის არქიტექტურა — ხატვა „თაბაშირის თავი" (ქაღალდი, ფანქარი), ფერწერა „ნატურმორტი" (ქაღალდი, აკვარელი), ხაზვა „რთული გეომეტრიული ფიგურის ნახაზი" (ამოცანა შეუღლებაზე), „პროექციული ხაზვა" (ქაღალდი, ფანქარი).

მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების სპეციალობაზე: მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვის სპეციალობაზე — ხატვა „თაბაშირის ფიგურა" (ქაღალდი, ფანქარი), ფერწერა „ნატურმორტი" (ზეთი, ან წყლის საღებავები) „კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით" (სრულდება მოცემული არქიტექტურული გარემოს გათვალისწინებით, წყლის საღებავები).

არქიტექტურულ-დეკორატიული პლასტიკის სპეციალობაზე — ხატვა „თაბაშირის ფიგურა" (ქაღალდი, ფანქარი), ძერწვა „თაბაშირის თავის ასლი" (თიხა), „კომპოზიცია სპეციალობის მიხედვით", (ჩანახატი და რელიეფი მასალაში, მოცემული არქიტექტურული გარემოს გათვალისწინებით, თიხა ან პლასტილინი).

ხელოვნების ისტორიის და თეორიის სპეციალობაზე — ხელოვნების ისტორია — წერა (რეფერატი დასავლეთ ევროპის, ან ქართული ხელოვნების ერთ ფერწერულ ნაწარმოებზე), ხელოვნების ისტორია — ზეპირი.

ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციებზე ტარდება გამოცდა „ქართული ენა და ლიტერატურა" — წერა.

ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციებზე (გარდა არქიტექტურისა და ფერწერის რესტავრაციისა) ტარდება ჩათვლა საქართველოს ისტორიაში. ფერწერის რესტავრაციაზე ტარდება ჩათვლა საქართველოს ხელოვნების ისტორიაში.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკის მიუხედავად.

გამოცდებში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: **განცხადება ფორმის მიხედვით** (სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით); **საშუალო განათლების მოწმობის დედანი** (დანართთან ერთად); **სამედიცინო ცნობა** (ფორმა № 086 უ), **დამოწმებული ფოტოსურათი 3X4. პასპორტს და სამხედრო საბუთს წარმოადგენენ პირადად.**

მისაღები გამოცდების დაწყებამდე აბიტურიენტები გაივლიან გასაუბრებას, საშინაო ნამუშევრების წარმოდგენით და მოკლევადიანი დავალებების შესრულებით.

გასაუბრების შედეგები აბიტურიენტებს მეორე დღეს ეცნობებათ.

მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის აბიტურიენტებმა გასაუბრების წარმატებით ჩათვლის შემთხვევაში უნდა გადაიხადონ აკადემიის ბუღალტერიაში 3 დოლარის შესაბამისი კუპონი კურსით, ჩაჭრილ და ჩარიცხვის გარეთ დარჩენილ აბიტურიენტებს შემოტანილი თანხა არ დაუბრუნდებათ.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (კვირის გარდა), 10-დან 14 საათამდე, 11 ივლისის ჩათვლით.

გამოცდები დაიწყება 15 ივლისს.

აბიტურიენტებისათვის ღია კარის დღე ჩატარდება 8 ივლისს, 12 საათზე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სამხატვრო აკადემიის მიმღებ კომისიაში.

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის, 22, ტელ.: 93-68-93; 93-29-72.

მიმღები კომისია.

ინფორმაცია

ხანძრის შემთხვევაში დარეკეთ

იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წლის 28 ივნისს დროებით გამოირთო ხაზები „01", ხანძრის შემთხვევის დროს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველო გთხოვთ დარეკოთ შემდეგ ტელეფონებზე:

მთაწმინდის რაიონი — 98-18-91;
დიდუბის — 95-25-10; 95-12-22;
ისნის — 74-11-90;
ნაძალადევის — 66-44-20; 66-00-74;
კრწანისის — 72-20-06;
ჩუღურეთის — 95-41-88;
გლდანის — 62-01-02;
ვაკისა და საბურთალოს რაიონი — 22-00-01.

მშრომელთა ინტერესების დასაცავად

ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარების გამო ბოლო დროს ფერხდება მუშა-მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება, სხვადასხვა დარგების საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულ მუშაკებს თვეობით არ მიუღიათ ხელფასები, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება კატეგორიულად მოითხოვს ქვეყნის ხელისუფლებისაგან და წარმოების ხელმძღვანელებისაგან უმოკლეს ვადებში უზრუნველყონ მშრომელთა ხელფასებზე დავალიანების დაფარვა, აგრეთვე მიღებულ იქნეს ღონისძიებები ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებში დასაქმებულ მუშაკთა შრომითი ანაზღაურების დროულად გაზრდა.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების პრეზიდენტი.

„უკვდავების-155"

ამ დღეებში უამრავი სტუმარი ეწვია საჩხერის რაიონს. განსაკუთრებული ხალხმრავლობაა სხვიტორსა და სავანეში. 155 წელი შესრულდა აკაკის დაბადებიდან, იგი ხომ ყველა ქართველის უსაყვარლესი მგოსანია.

აკაკის დღეებს საინტერესო ღონისძიებები მიუძღვნა საჩხერის რაიონის განათლების განყოფილებამ. ყველა სკოლასა და სკოლამდელ დაწესებულებაში მოეწყო საზეიმო შეხვედრები, დასკვნითი ზეიმი კი რაიონის კულტურის სახლში მოეწყო.

დღევანდელი დამძიმებული ცხოვრებისაგან დაღლილი ხალხის იმედის მაუწყებლად ჟღერდა აკაკის სიტყვა და ლექსი. დარბაზში იფრქვეოდა „სულიკოს" ჰანგები, ცვიოდა მონატრების ცრემლი და ვარდ-ყვავილიც.

სოზარ ჭუმბაძე,
„სრ" საკ. კორ.

იქმნება იოსებ ჟორდანიას სახელობის ფონდი

იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიმართა მისი ლეგენდარული დამაარსებლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

ინსტიტუტის სახელოვანი კოლექტივის წევრებმა პარაკლისი გადაუხადეს ბატონ იოსებს და ყვავილები მოაბნიეს მის საფლავს.

დღეს, ამ უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების ჟამს, ინსტიტუტში კიდევ უფრო მასშტაბური პრობლემები დგას. ჩვენი წევრები, თქვა თავის შესავალ სიტყვაში ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა არჩილ ხომასურიძემ, მზად არის ამ პრობლემების გადასაჭრელად, რათა საქართველოს მრავალი შვილი ჰყავდეს. ეს ჩვენი წმინდა და საპატიო მოვალეობაა სახელოვანი მეცნიერის ხსოვნისა მშობლიური ხალხის წინაშე...

მოგონებები ბატონ იოსებ ჟორდანიას შესახებ დამსწრეთ გააცნეს აკადემიკოსმა ზურაბ პილაძემ, იოსებ ჟორდანიას პირველმა ასპირანტებმა ჯუნა ბალათურიამ და იოსებ გოცირიძემ, პროფესორებმა ნუნუ მაისურაძემ, გიზო ვახაძემ, ვახტანგ კურცხალიამ და სხვ.

ხსოვნის საღამოზე გადაწყდა, შეიქმნას იოსებ ჟორდანიას სახელობის ფონდი.

იზა ჯამბაძე.

გამოთხოვება

რაც მან ჩაიფიქრა... გაიმართება!

ქართულმა საზოგადოებრიობამ, თბილისის მოქალაქეებმა 25 ივნისს უკანასკნელ გზაზე გააცილეს ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე სოლიკო ხაბეიშვილი, რომლის სიცოცხლე შეწყვიტა ტერორისტების ტყვიამ. ალალი ცრემლით დაიტირა სოლიკო ხაბეიშვილის ცხედარი ყველამ, ვინც მას იცნობდა, ვინც მასთან ერთად იღვწოდა.

ვაკის სასაფლაოზე, სადაც სამუდამო განსასვენებელი პოვა სოლიკო ხაბეიშვილმა, გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი.

— ეს მე მესროლეს, — თქვა თავის გამოსათხოვარ სიტყვაში პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. — ისევე, როგორც სოხუმში შევარდნაძე ვერ მოკლეს და ჟიული შარტავა დახვრიტეს. სოლიკო ხაბეიშვილი არ მოკვდა. ის, რაც მან ჩაიფიქრა, ღრმად მჯერა, გაიმართება. თითქოს ღმერთისგან იყო ჩაგონებული ეს აზრი, რომ სწორედ თბილისში გამართულიყო ფორუმი სისასტიკის, დაუნდობლობის წინააღმდეგ კულტურათა გაერთიანებისათვის, შენ იყავი ამ ფორუმის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. ეს შეხვედრა ჩვენი პლანეტის გამოჩენილი, უდიდესი მოაზროვნე მოღვაწეების მონაწილეობით შედგება თბილისში და შენ იქნები მისი ყველაზე აქტიური მონაწილე.

სოლიკო ხაბეიშვილის ნეშტი ვაკის სასაფლაომ მიიბარა. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

საქართველოს რეფორმატორთა კავშირის განცხადება

მკვლელის ტყვია ყოველთვის ადვილად და შეუცდომლად პოულობს საქართველოსათვის დღეს განსაკუთრებით საჭირო ხალხს. ამჯამად ასეთი სამიზნე გახდა სოლიკო ხაბეიშვილი — კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ედუარდ შევარდნაძის ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. მთელი საზოგადოებრიობა უაღრესად შეშფოთებულია არა მხოლოდ მისი ამაზრზენი მკვლელობის ფაქტით, არამედ იმითაც, რომ აქამდე ვერ მოხერხდა უკანასკნელ წლებში გახმაურებული მსგავსი ტერორისტული აქტების ორგანიზატორთა და დაქირავებულ მკვლელთა მხილება. ასე მომძლავრებულმა დაუსჯელობის სინდრომმა შეიძლება მომავალში არა ერთი შესანიშნავი მოქალაქისა და მამულიშვილის სიცოცხლე შეიწიროს, თუ უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ამჯერადაც ვერ შეძლებს ტერორისტებისაგან ქვეყნის გაწმენდას.

რეფორმატორთა კავშირი მუდამ დაუჭერს მხარს კანონიერების განმტკიცებისაკენ მიმართულ ყოველ ღონისძიებას, რადგან უამისოდ წარმოუდგენელია კრიზისის დაძლევა, ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებელი რაიმე წინსვლის მიღწევა.

ქალთა სოციალ-დემოკრატიული კავშირის პოზიცია

საქართველოს ყველა მოქალაქე სულით ხორცამდე შეძრა ბატონ სოლიკო ხაბეიშვილის ამაზრზენმა მკვლელობამ. ამ ტერორისტულ აქტს გამოეხმაურა ქალთა სოციალ-დემოკრატიული კავშირი თავისი განცხადებით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ „უკანასკნელ წლებში მომხდარმა გაუხსნელმა ტერორისტულმა აქტებმა აავსო მოთმინების ფიალა. ნუთუ ბოლო აღარ უნდა მოეღოს მაფიური კრიმინალური ბანდების თარეშს საქართველოში! ნუთუ უნდა გვეშინოდეს საქართველოსა და ხალხის სამსახური!... ესა და მრავალი სხვა კითხვა უპასუხოდ რჩება გამოკიდებული ჰაერში".

ქალთა სოციალ-დემოკრატიული კავშირი მოითხოვს ხელისუფლებისაგან ყველა საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, რათა გარეწრებმა პასუხი აგონ საზოგადოების წინაშე.

არდაგიწყება

„აღასრულა მან თვისი ვალი"...

ქართველმა ერმა დიდი პატივი მიაგო გამოჩენილი პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილის ხსოვნას.

დავით სარაჯიშვილი 1911 წელს გარდაიცვალა. მადლიერმა ხალხმა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალა იგი, ხოლო წარსული წლების უკუღმართობის გამო მისი ნეშტი 1938 წელს გადაასვენეს ვაკის სასაფლაოზე.

დადგა სამართლიანობის აღდგენის დღე. შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმა „ზემ"-ის მეშვეობით (თავმჯდომარე — ელგუჯა ბუბუტეიშვილი) და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემწეობით ქართველმა ერმა აღასრულა თავისი ვალი ღირსეული წინაპრის მიმართ.

დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის ეკატერინე ფორაქიშვილის ნეშტები 24 ივნისს გადმოასვენეს ქაშვეთის ტაძარში. 25 ივნისს განსვენებულთა სულის მოსახსენებლად მცხეთა-თბილისის სამღვდელოებასთან ერთად პარაკლისი გადაიხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

სამგლოვიარო მიტინგზე განსვენებულის ცხოვრება-მოღვაწეობაზე ილაპარაკეს „ზემ"-ის თანამშრომელმა, იურისტმა ვ. ყიფიანმა, თბილისის მერმა ნ. ლეკიშვილმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გ. ფანჯიკიძემ, ხელოვნებამცოდნე ეკა პრივალოვამ და სხვ.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.



სპორტი

ორგზის!

67 წლის ონელი ფალავანი, ოლიმპიური ჩემპიონის — დავით გობეჯიშვილის პირველი მწვრთნელი ალექსანდრე (შურა) მაისურაძე ამ დღეებში ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ვეტერანთა შორის. ტურნირი სოფიაში ექვს ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა და მასში 10 ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ემზარ კიკაბიძემ და შოთა პაპაშვილმა, ბადრი შენგელია და დავით თოდრია კი მესამე პრიზიორები გახდნენ.

ბულგარეთის დედაქალაქში ხალიჩის ქართველ ოსტატთა გამგზავრება და ასპარეზობა შესაძლებელი გახდა ბათუმის ფირმა „ჯორჯეეჯის" (პრეზიდენტი გელოდი კობალაძე, წარმომადგენელი თემურ გოგიბერიძე) ძალისხმევით.

მოვთოკოთ ემოციები!

კალათბურთელ ვაჟთა პროფესიული ლიგის პირველი ჩემპიონატი გადამწყვეტ სტადიაში შევიდა. შვიდთვიანი მარათონის შემდეგ უძლიერესთა კვარტეტში ადგილები დაიმკვიდრეს „ბაასმა", „კალასმა", „მთაწმინდამ" და „ვითამ", სპონსორმა — ფირმა „კოკა-კოლა კავკასიონმა" (პრეზიდენტი თემურ ჭყონია) მათ დანაპირები შეუსრულა და სრული სპორტული კომპლექტებით დააჯილდოვა.

გთავაზობთ ნახევარფინალური მატჩების შედეგებს: „მთაწმინდა"-„ვითა" 85:66, 83:76; „ბაასი"-„კალასი" 87:85, 71:73, 86:90.

ფინალი „მთაწმინდა" (მთ. მწვრთნელი ზაზა ზამთარაძე)-„კალასი" (გივი ჩინჩალაძე) 28, 29 და 30 ივნისს გაიმართება.

შეხვედრები უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობს და ხანდახან სარბიელზე, უფროსთა შეჯიბრებების მსგავსად, ამა თუ იმ გუნდის „გულშემატკივრები" და მშობლებიც არ თაკილობენ გადასვლას. ასეთი მაგალითები მართლაც ჩრდილს აყენებს მშვენიერ ტურნირს.

ამჯერად სამხრეთ აფრიკა

მორაგბეთა მსოფლიო თასის მესამე გათამაშება მასპინძელთა — სამხრეთ-აფრიკელთა გამარჯვებით დასრულდა. მათ დრამატულ ფინალში დამატებით დროში ანგარიშით 15:12 (ძირითადი დრო 9:9) სძლიეს საპატიო პრიზის ა. წ. უკვე ყოფილ მფლობელებს — ახალზელანდიელებს.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში წარმატება წილად ხვდათ ფრანგებს, რომლებმაც ინგლისელები დაამარცხეს 19:9.

შეხვედრა ხაშმში

ამ დღეებში საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმის საშუალო სკოლაში გაიმართა ქართველი მწერლების, მეცნიერების, ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრა პედაგოგებთან, მოსწავლეებსა და სოფლის მოსახლეობასთან. შეხვედრა გახსნა სოფლის გამგებელმა პეტრე კურკაციშვილმა. სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე ისაუბრა სკოლის დირექტორმა ევგენია ქოქრაშვილმა. სტუმრებს მიესალმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მაია ჯანიაშვილი.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და კრიზისიდან გამოსვლის გზებზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს მწერლებმა ლევან სანიკიძემ, რევაზ მიშველაძემ, აკადემიკოსმა თენგიზ ბურჭულაძემ, პროფესორებმა ვახტანგ ქარუმიძემ, გივი გამსახურდიამ, საქართველოს რესპუბლიკის ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ, საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვაჟა ფანჯაკიძემ, მინისტრთა კაბინეტის მთავარმა მრჩეველმა დავით ბურჭულაძემ, განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსმა გურამ ლასხიშვილმა, თბილისის ნაძალადევის, დიდუბის, საგარეჯოს რაიონების პროკურორებმა ლავრენტი ჯანაშიამ, თამაზ ტუღუშმა, გოდერძი ხიზანიშვილმა, ჟურნალ „საქართველოს სამედიცინო მოამბის" მთავარმა რედაქტორმა ჯანგირ მამალაძემ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარმა რედაქტორმა გურამ გოგიაშვილმა.

შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვიტეს ყოველი წლის ივნისის ბოლო კვირას გაიმართოს „სოფლის დღე" — შეხვედრა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელისუფლების წარმომადგენლებთან. საკრებულოს დადგენილებით ხაშმის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს გამოჩენილ ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს.

თეა ჟამერაშვილი.

გერგეთის თოვლიანი მთა

ერთად უნდა ვიცხოვროთ

მისტიკური სილამაზე აქვს დარიალის ხეობას.

ცადაზიდული მწვერვალები, მუდამ მშფოთვარე, გიჟმაჟი თერგი. უშიშარი ყურძნის მტევნებივით ჰკიდია ნისლები, თოვლიან მთებზე ჰაერი ყინულივით სუფთაა და ცივი, სივრცე გუგუნებს კლდეებში გამოკვეთილი.

დამტვრეულ გზაზე უჭირს სვლა „ჟიგულის".

„კამაზებსაც" არ ულხინთ, მაგრამ მაინც მიიწევენ წინ, ჩრდილოეთისაკენ. რამდენი წინააღმდეგობა უნდა გადალახონ, მათ შორის, საგზაო პოლიციის საგუშაგოები, ყაზბეგისა და ლარსის საბაჟოები, სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტები, გამოიცვალონ ათეულობით ფულზე დახარბებული გამცილებელი, ამ საშიში გზით დანიშნულ პუნქტს რომ მიაღწიონ!

ამ მხარეში პირველად მყოფი კაცის სიფრთხილით, ნელ-ნელა მივიწევთ წინ, რუსეთ-საქართველოს საზღვრისაკენ. მეგზურობას ყაზბეგის პოლიციის უფროსი თამაზ სუჯაშვილი გვიწევს. შინაური კაცია, ყველას იცნობს; აი, ლარსიც. გვიყეფს ძაღლი, „ვისთან ხართ?!" — გამომცდელად გვეკითხება მესაზღვრე და გზას გვილობავს. ვერ გაამტყუნებ. ახლა აქ სახელმწიფო საზღვარია. შლაგბაუმზე მილეთის ხალხი და ავტომანქანა ელოდება თავის რიგს იქეთა მხარეს გასასვლელად.

თითქოს ყურადღებას არ გვაქცევენ, თავისუფლად დავსეირნობთ საბაჟოს ტერიტორიაზე. უცებ ერთ ტანად, ულვაშებიან, კბილებამდე შეიარაღებულ სამხედროს გადავეყრებით. ჩვენი მეგობარი პოლიციის უფროსი რომ არა, რაღაცას წავაწყდებოდა; — „ეს ვალერა პლიევია, რუსეთისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი კრივში, ქართველი მეუღლე ჰყავს, თბილისში ცხოვრობდა"...

სამნი ვართ: მე და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს თანამშრომლები ჯემალ ზოიძე და გოჩა ჩორგოლაშვილი.

ყაზბეგის პოლიციის უფროსს კაბინეტში არ სჭირდება კონდიციონერი. შილიფად გვცვია; როცა შეგვთავაზეს პიჯაკები მოიხურეთო, თავპატიჟი არ დაგვიწყია.

მაღლა გერგეთის თოვლიანი მყინვარი ბატონობს, დაბლა — თერგი. ამ გოლიათი ბუნების სადიდებლად და მისი სტიქიონის დასაშოშმინებლად გერგეთის კალთებზე აუგია მოხევეს წმინდა სამების ტაძარი. სადაც გაიხედავ — სალოცავია, სამშობლოს ერთგული ჯარისკაცებივით ჩარიგებულია სათვალთვალო კოშკები!

ადრე ყაზბეგში, თვეში 2-3 დანაშაული თუ მოხდებოდა. ახლა ეს მაჩვენებელი, სამწუხაროდ, 10-15-ჯერ გაიზარდა, მაგრამ ყველა გახსნილია.

ხშირია ტრაგედიით დამთავრებული ოჯახური კონფლიქტები, რამდენჯერმე ქმარს ცოლი შემოაკვდა, სიძეს — სიდედრი... მეცხვარეობის ტრადიციულ რაიონში ცხვრის ქურდები და ყაჩაღები ჰპრობენ. დღეს ყველა — შინაური თუ გარეშე ყაჩაღური ჯგუფი დაკავებულია და ცხვარმაც მოისვენა და პატრონმაც.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაული ხევში მაინც ცოლად შერთვის მიზნით ქალის მოტაცებაა.

ეს პატარა სოფელი ცდოა, მაღლა, მწვერვალისკენ იშვერს საჩვენებელ თითს თამაზ სუჯაშვილი; სწორედ აქ შეაფარეს თავი გუშინწინ ახალგაზრდებმა...

სიყვარულის პატარა ისტორია:

გოგონა გარბნელია; საშუალო სკოლაში, ბოლო გამოცდის წინ, აჰყვა გულისთქმას და თავისი ბედი ყაზბეგელ ყმაწვილს მიანდო. ქალი მოგვტაცესო, შეიცხადეს მშობლებმა და პოლიციას შეატყობინეს.

მიყვარდა და გავყევიო, მორჩილად დახარა თავი ქალმა და მოქიშე მხარეებშუა თეთრი მანდილი ჩააგდო.

ასეა თუ ისე, იმ დღით ყაზბეგში კიდევ ერთი ახალი ოჯახი შეიქმნა. ახლა მთავარია, თავისი ტოლებივით არ მიატოვონ ახალგაზრდებმა ხევი და სიკვდილამდე უყვარდეთ ერთმანეთი.

— ლამაზი სარძლო თუ იყო, — მოურიდებლად ვეკითხები თამაზ სუჯაშვილს.

— ხევში ცუდს არავინ მოიტაცებს, — ასევე პირდაპირ მიპასუხებს ის.

ფლეხმეს უბნის ინსპექტორი, მორიდებული კაცი, იაგო ელოშვილი ერთი ქალიშვილის მამაა, თამაზ სუჯაშვილი — სამისა.

„შატილის ასულო, ლერწამო ტანითა..." ვღიღინებ ჩემთვის...

ყაზბეგის პოლიცია კადრების ნაკლებობას განიცდის. ძლიერია ახალგაზრდობის დენადობა. ისინი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიდიან ბედის საძიებლად. რაიონში სულ 48 სოფელია, მათი უმრავლესობა ხუთ-ათკომლიანია. ესეც აწუხებს პოლიციის უფროსს, მაგრამ ძალით ვერავის გააჩერებს!

რაიონი ოსეთს ესაზღვრება.

ბევრი ოსური ოჯახი ცხოვრობს ყაზბეგში.

მაინტერესებს რა მდგომარეობა იყო ამ რეგიონში ცნობილი ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს.

თამაზ სუჯაშვილი ვლადიკავკაზში გაიზარდა, იქ მიიღო განათლება და სამსახურიც ოსეთში დაიწყო — შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა. კონფლიქტი რომ გამწვავდა, თავისი თანამემამულეების სურვილის გათვალისწინებით, ყაზბეგის პოლიციის უფროსობა დააკისრეს. სწორი არჩევანი იყო: მოხევე სუჯაშვილი ოსებშიც შინაურად ითვლებოდა, ამიტომ, ბუნებრივია, ენდობოდნენ. პატივს სცემდნენ, ანგარიშს უწევდნენ.

ოს-ქართველთა ტრადიციულად კეთილი, თბილი ურთიერთობა ომის დროს გაცივდა. პატარა საქმე ხომ არ არის, ზოგს ოსი სიძე ჰყავს, ზოგს — რძალი, მეზობელი... როდის არ წაკინკლავებულან მოყვრები? — ახლა ამ კინკლაობას ეროვნებათშორის შუღლად თვლიდნენ, რაც ერთობ ართულებდა საქმეს. ბევრი შრომა დასჭირდათ, რომ მსგავსი უთანხმოებანი, მართლაც საშიშ დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო.

რაიონული განყოფილების უფროსი კმაყოფილია, რომ ყაზბეგის ქართულ-ოსური მოსახლეობა ომსა და პოლიტიკაზე მაღლა აღმოჩნდა. ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ. არც ერთი ოსური ოჯახი არ აყრილა და არ გადასახლებულა თავის ისტორიულ სამშობლოში.

— ახლა ნელ-ნელა აღდგა ძველებური მისვლა-მოსვლა, სტუმარ-მასპინძლობა. ოსური გაზეთების პათოსიც შეიცვალა: „ქართველი ექსტრემისტებიო", „ოსურ-ქართული კონფლიქტიო" წერდნენ ადრე, „ოსურ-ქართული ურთიერთობებიო", წერენ ახლა. წავიდეთ, ერთხელ ჩრდილოეთ კავკასიაში. თქვენი თვალით იხილეთ ოსი, ყაბარდოელი თუ ბალყარელი ინტელიგენციის კეთილი დამოკიდებულება ქართველებისადმი. მერწმუნეთ, ძველი დრო აღარ არის; ახლა ბევრ რამეს ისინი სხვანაირად უყურებენ, სხვანაირად სჯიან, — ამბობს თამაზ სუჯაშვილი.

კონფლიქტი რომ გაღრმავდა, ვალერი პლიევი თბილისიდან აიბარგა, შემდეგ სამხედრო სამსახურში შევიდა და იარაღი აისხა. „ჩვენ ძმები ვართ, საქართველოსა და ოსეთს შორის საზღვარი არ უნდა არსებობდესო", — მითხრა გულწრფელად.

ძნელია დაკოდილი გულის გამთელება, მაგრამ შესაძლებელია. ეს ქართველებმაც უნდა იცოდნენ და ოსებმაც.

თამაზ სუჯაშვილმა თავისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი გაიხსენა: 1991 წელს ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე 84 ათასი თავისი ცხვარი ჩაგვრჩაო. ჩაერია შინაგან საქმეთა სამინისტრო, სხვა უწყებები, გამოვიყვანეთ როგორც იქნაო.

ასე რომ, შეიძლება საერთო ენის გამონახვა, ძველი თბილი ურთიერთობის აღდგენაო...

მოყვარეს პირში უძრახეო, უთქვამთ.

რუსებს საბაჟოც და სასაზღვრო ზონაც საათივით აქვთ აწყობილი, დაველ-დასუფთავებული.

თავიანთ საქმიანობას რუსები ოფიციალურ რეკეტს უწოდებენ, მაგრამ ეს არ უშლით ხელს გარეგნულად მაინც (ფორმა, მომსახურე პერსონალის სახისა და თვალების გამომეტყველება) ყველაფერი წესრიგში ჰქონდეთ.

ნარკოტიკული საშუალებების მოსაძებნად დაგეშილი ძაღლიც ჰყავთ, თანამედროვე ტექნიკაც აქვთ, აგრეთვე კოხტად მოვლილი შენობა-ნაგებობები, გზა.

ჩვენი სასაზღვრო და საბაჟო ზონები უნდა ნახოთ! — „ყაზბეგში მეგობრებთან ჩასვლა მინდა, მაგრამ ამ გზაზე „მერსედესს" როგორ გავიმეტებ! ვისზე ნაკლებ ფულს აკეთებენ, გადადონ ერთი-ორი კაპიკი, მიხედონ გზას", — დამცინავად მითხრა ერთმა რუსმა და თვალები ააპილპილა.

ბედოვლათ ქართველებს საზღვრადაც ერთი მსხვილი თოკი დაუდგენიათ.

მე არ ვარ ის კაცი, ჩემიანის კარგი ვერ შევნიშნო, მაგრამ რომ ვერ ვხედავ? — ყაზარმა, სადაც ამ სიცივეში იძინებენ და იღვიძებენ, მაინც გადახურონ; ნაბახუსევი თვალები თერგის წყლით დაიბანონ; გვერდით მოწყობილ ბაზრობას ბაზრობის სახე მისცენ და არა საღორისა. საზღვარზე არიან! არ ილოთონ, არ იკინკლაონ მილეთის ხალხის თვალწინ, ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად წარმოადგინონ თავი.

მესმის, ტრადიცია არა აქვთ, არ იციან, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა ისწავლონ!

მცხეთის თათბირზე სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ხევის პრობლემებს მიაქცია ყურადღება და თქვა, ამ რეგიონის მიმართ გვმართებს განსაკუთრებული ზრუნვის გამოჩენაო.

ჯერჯერობით, ფაქტია, რომ დაიცალა ყაზბეგი. აქ ორსამკომლიან დასახლებას სოფელს ეძახიან. საკვირველია, რით ცხოვრობს ბუნების ამ უმკაცრეს პირობებში მოხევე?

ცხვარი ხომ ფასობდა, ცხვრით ცხოვრობდა.

ახლა მატყლი ორი-სამი კვერცხის ფასია... რაღა აზრი აქვს ცხვრის მოვლას, შენახვას?

ისევ გართულდა რუსეთ-ჩეჩნეთის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა. კვლავ დაიკეტა საზღვარი. ასობით ავტომანქანას და მგზავრს უკან დაბრუნება მოუხდება, ან დარიალის ვიწროებში, ქარსა და ავდარში, თვეობით ლოდინი და... ლოდინი!

მაღლა გერგეთის მარადიული მყინვარისა და მისი უმცროსი და-ძმების საუფლოა, დაბლა — თერგისა!

ამ გოლიათი ბუნების გვირგვინია მოხევე — კაცი პატიოსანი, ამტანი და პატრიოტი!

ზაურ მაქარაძე.

თბილისის სამედიცინო აკადემია

აცხადებს 1995/96 სასწავლო წლისათვის მიღებას სამკურნალო (60 ადგილი) და სტომატოლოგიურ (25 ადგილი) ფაკულტეტებზ (ფასიანი სწავლება).

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირნი 25 წლის ასაკამდე.

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფ. № 086), 6 ფოტოსურათი (3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენს პირადად.

გამოცდების ხარჯების ასანაზღაურებლად აბიტურიენტმა უნდა შემოიტანოს 25000 რუსული მანეთი, რომელიც უკან არ დაუბრუნდება.

საბუთები მიიღება ყოველდღე (კვირის გარდა) 22 ივლისამდე 10-დან 14 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 29, თბილისის სამედიცინო აკადემიის რექტორატი, III სართული, 845 ოთახი, ტელ.: 23-15-98, მიმღები კომისია.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 3 საგანში: ბიოლოგია, ქიმია, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).

გამოცდები დაიწყება 24 ივლისიდან. გამოცდების ცხრილს აბიტურიენტები გაეცნობიან საბუთების ჩაბარებისას.

სწავლა ფასიანია. ერთი სასწავლო წლის შესატანი შეადგენს 500 ამერიკული დოლარის შესაბამის ექვივალენტს.

თანხამ შეიძლება ცვლილება განიცადოს სწავლების ღირებულებასთან დაკავშირებით.

ინსტიტუტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება საფასურის გადახდის შემდეგ.

ღია კარის დღე გაიმართება 22 ივლისს 12 საათზე აკადემიის სააქტო დარბაზში: ჭავჭავაძის გამზირი № 33 (მე-9 საავადმყოფო).

სამედიცინო აკადემიის მიმღები კომისია.

სწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
გიწვევთ სასწავლებლად შემდეგ სპეციალობებზე:

საქართველოს ისტორია, იურიდიული, ეკოლოგია და ბუნებათმცოდნეობა-სამედიცინო ეკოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ტურიზმის მართვა და ორგანიზაცია, ეკონომიკა, ფსიქოლოგია-პედაგოგიკა (დაწყებითი განათლება).

უნივერსიტეტში თანამშრომლობს 21 აკადემიკოსი და 56 პროფესორი. ჩვენთან მოწვეულია წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების საუკეთესო სპეციალისტები.

უნივერსიტეტი სამეურნეო ანგარიშზეა.

სწავლის გადასახადი ხელმისაწვდომია ყველა მსურველისათვის.

მიღება წარმოებს ტესტირების წესით, 10-დან 15 აგვისტომდე.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. № 8, მეორე სართული, ტელ.: 36-11-42. ტრანსპორტი — მეტრო „პოლიტექნიკური".

უნივერსიტეტში არის სამხედრო კათედრა.

რექტორატი

თბილისის მართვის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

. იურიდიული, სპეციალობა „სამართლისმცოდნეობა" (საბაჟო სამართალი) — 20-20 ადგილი;
ეკონომიკის სპეციალობა „საბაჟო საქმიანობის ეკონომიკა და მართვა" — 15-15 ადგილი.

საბუთები მიიღება 27 ივნისიდან 28 ივლისამდე, ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა), 14 საათიდან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები და ჩარიცხვები 29-31 ივლისს.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, № 71, 126-ე საშუალო სკოლის შენობა.

ტელეფონები: 81-30-75, 38-74-82, 74-88-87.

რექტორატი

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი-პოლიტოლოგი,
2. აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, რეფერენტი-მთარგმნელი, ჟურნალისტი-პოლიტოლოგი.

ინსტიტუტში ჩარიცხული სტუდენტები შეისწავლიან ერთ-ერთ ძირითად აღმოსავლურ ენას (არაბული, სპარსული, თურქული), ევროპულ ენებს და ზემოთ დასახელებული სპეციალობებისათვის აუცილებელ დისციპლინებს.

ინსტიტუტში შემსვლელები ჩააბარებენ გამოცდებს ქართულ და ევროპულ ენებში, საქართველოს ისტორიაში.

მისაღები კონკურსი დაიწყება 3 აგვისტოს.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან შემდეგ მისამართზე:

აკად. გ. წერეთლის ქ. № 3, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (ვაკის პარკთან), III სართული, ოთახი 814, ტელეფონები: 23-08-83, 23-18-78.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 27 ივნისიდან დაადგინა კუპონის მიმართ. უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	940, 160. 57	კუპონი
ავსტრიული შილინგი	133, 511. 98	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2, 091, 430. 43	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	457, 022. 22	კუპონი
გერმანული მარკა	939, 036. 17	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	838, 817. 21	კუპონი
დანიური კრონი	240, 279. 08	კუპონი
100 იტალიური ლირა	79, 826. 80	კუპონი
კანადური დოლარი	942, 369. 72	კუპონი
ნორვეგიული კრონი	210, 670. 81	კუპონი
აშშ დოლარი	1, 300, 000. 00	კუპონი
ფინური მარკა	304, 950. 54	კუპონი
ფრანგული ფრანკი	268, 040. 74	კუპონი
შვედური კრონი	179, 629. 41	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	1, 136, 066. 88	კუპონი
10 იაპონური იენი	154, 578. 21	კუპონი
ეკიუ	1, 731, 990. 85	კუპონი
10 ესპანური პესეტა	107, 928. 32	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	57, 987. 36	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	2, 132, 000. 00	კუპონი
ისლანდიური კრონი	20, 647. 06	კუპონი
ქუვეიტური დინარი	4, 355, 107. 63	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	8, 020. 92	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	89, 071. 24	კუპონი
სინგაპურული დოლარი	930, 233. 55	კუპონი
10 თურქული ლირა	300. 22	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	381, 905. 45	კუპონი
რუსული რუბლი	251. 00	კუპონი
ლიტვური ლიტი	288, 022. 50	კუპონი
ლატვიური ლატი	2, 224, 111. 00	კუპონი
ესტონური კრონი	104, 024. 44	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	785. 63	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	18, 147. 30	კუპონი
მოლდავეთის ლეი	251, 547. 18	კუპონი
ყირგიზეთის სომი	108, 178. 49	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	993. 96	კუპონი
უზბეკეთის სუმი	41, 741. 30	კუპონი
აზერბაიჯანული მანათი	261. 04	კუპონი
სომხური დრამი	2, 826. 26	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

საქართველოს თავდაცვის ფონდი თანაუგრძნობს ქალბატონ ნელი ბალამწარაშვილს დედის
ვენერა ნიკოლოზის ასულ კიკაბიძის
გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი
ინდექსი